გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№62 (818) 5 - 6 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი

## კონტროლის პალატის კანონდარღვევათა 160-გვერდიანი სკანდალური დასკვნის დეტალები

გვ.3



ნაციონალებისთვის გაცემული რამდენიმეათასლარიანი პრემიები, წინასაარჩევნო „შენერილი“ 13 მილიონი ლარი და ძასაჭერი ჩინოვნიკების სია!



გვ.4

## იძებნება ზურაბ ადეიშვილის ძმა — დავით ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილს კი ბრალი ორ კვირაში დაუმძიმდება!

## ნანა დევდარიანი:

„ვერ ამიხსნია, რატომ დასახელდა გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად!“

გვ.6



## მე-13 პოლიკლინიკის დირექტორს თანამდებობას დაატოვებინებენ!

რატომ გაათავისუფლეს 9 ექიმი სამსახურიდან და რა ვალდებულება იკისრა მამუკა ქაცარავამ ექიმების საპროფესიო აქციის შემდეგ

გვ.12

## სოციალურად დაუცველები სამინისტროს წარმომადგენლებისა და დაკავებული შენობების დაწვით იმუქრებიან!

## ირაკლი ღარიბაშვილი სტუდენტებს დაასაქმებს!



გვ.2

## საპარტნიორო ფონდმა სოფლის მეურნეობის დარგში მასშტაბური პროექტი განახორციელა



ლორის ხორცის ბაზრის 15%-მდე ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქციით შეივსება

გვ.2

## „$m^2$“ 14-მილიონიანი სესხით, თბილისის ცენტრში, 3 ახალ პროექტს განახორციელებს



გვ.7

## სახალხო მკურნალ დოქტორ მაგნიძის საკითხით პარლამენტი ინტერესდება

გვ.9

# საპარტნიორო ფონდმა სოფლის მეურნეობის დარგში მასშტაბური პროექტი განახორციელა



## ღორის ხორცის ბაზრის 15%-მდე ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქციით შეივსება

საპარტნიორო ფონდმა, ქართულ საბანკო სექტორთან და კერძო ინვესტორთან თანამშრომლობის შედეგად, სოფლის მეურნეობის დარგში პირველი მასშტაბური პროექტი დაასრულა, რომელიც თავისი შინაარსით უნიკალურია და სახელმწიფოს, საბანკო სექტორის და მეწარმეთა თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს.

კომპანია „გეო აგროს“ შვილობილი კომპანიის, შპს „კალანდას“ მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელება 2011 წლის ბოლოს დაიწყო და მისმა სრულმა საინვესტიციო ღირებულებამ 10 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საკუთრივ კომპლექსის მშენებლობა დაიწყო 2012 წლის ივნისში. პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღეს საპარტნიორო ფონდმა, „საქართველოს ბანკმა“ და კერძო ინვესტორებმა.

მეღორეობის ფერმის საწარმოო კომპლექსის პროექტირება და ტექნოლოგიური აღჭურვილობის მოწოდება განხორციელდა გერმანული კომპანიის Big Dutchman-ის მიერ, რომელიც ერთ- ერთი ლიდერია მსოფლიო ბაზარზე თანამედროვე ტიპის მეცხოველეობის კომპლექსების პროექტირებასა და მათ მაღალტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში. გენეტიკა მოწოდებულია ბრიტანული კომპანია ACMC-ის მიერ, რომელიც ასევე ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიო ბაზარზე მაღალპროდუქტიული, სწრაფად მზარდი და მაღალი ჯანმრთელობის სტატუსის მქონე სანაშენე ღორების წარმოებაში. კომპანია „კალანდას“ მეღორეობის ფერმა განლაგებულია თეთრიწყაროს რაიონის სოფ. კოდას მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის საწარმოო ფართობი შეადგენს 13 ჰა-ს.

მეღორეობის ფერმის საწარმოო კომპლექსის პირველი ეტაპის სიმძლავრე შეადგენს 16000 ერთეულ დასაკლავ ღორს წელიწადში, 110 კგ ცოცხალ წონაზე. კომპლექსის მოიცავს: 7 საწარმოო შენობას, ითვალისწინებს კომბინირებული საკვების ქარხნის მოწყობას და სასაკლაოს მშენებლობას.

წარმოების მართვას მინიმუმ პირველი საწარმოო წლის პერიოდში განახორციელებს კომპანია Big Dutchman-ი. დედაღორების განაყოფიერების პროგრამა დაწყებულია და პირველ მაღალხარისხოვან პროდუქციას „კალანდა “ბაზარს შესთავაზებს მიმდინარე წლის დეკემბერში, კვირაში 300 ღორის წარმადობით. 2014 წელს, სრულ საწარმოო ციკლზე გადასვლის შემდგომ, ეს მაჩვენებელი გაორმაგდება.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე აცხადებს, რომ ფონდის მონაწილეობით სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული ეს პროექტი უნიკალურია თავისი შინაარსით, რამდენადაც სახელმწიფოს, საბანკო სექტორის და მეწარმეთა თანამშრომლობის პირველ წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს.

**„მოხარული ვარ, რომ ყველანი ერთად ვხედავთ იმ შედეგს, რასაც კერძო ბიზნესის, სახელმწიფოსა და საბანკო სექტორის კარგად გათვლილი და თანმიმდევრულად განხორციელებული ერთობლივი ძალისხმევა იძლევა. საკუთრივ ამ პროექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ამოცანაა ქართული ბაზრისთვის მაღალტექნოლოგიური სრული ციკლის შედეგად წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შეთავაზება. დარწმუნებული ვარ, „კალანდას“ ღორის ხორცი ბაზარზე გამოჩენისთანავე დაიმსახურებს მომხმარებლის ყურადღებას.**

**საპარტნიორო ფონდის მიზანია, კერძო ინვესტიციების მხარდაჭერა და ფინანსური ინვესტირების განხორციელება იქ, სადაც სახელმწიფოს გააჩნია პრიორიტეტები. ერთ–ერთი ასეთი პრიორიტეტული მიმართულება კი სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებაა. ფონდში, სოფლის მეურნეობის კუთხით, ამ ეტაპზეც განხილვის სტადიაშია რამდენიმე მასშტაბური პროექტი, რომელთა ფონდის მხრიდან საინვესტიციო მხარდაჭერის თაობაზეც საზოგადოებას მალე ვაცნობებთ“,** – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

ცნობისთვის, ფონდი კაპიტალის 50%–ით აფინანსებს სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოდგენილ იმ პროექტებს, რომელთა საერთო საინვესტიციო მოცულობაც არის მინიმუმ 5 მლნ ლარი, ხოლო სხვა სექტორებში ეს ნიშნული მინიმუმ 30 მლნ ლარია.



# ირაკლი ღარიბაშვილი სტუდენტებს დაასაქმებს!

შინაგან საქმეთა სამინისტრო სტაჟირებაზე 110 სტუდენტს იღებს. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 500 სტუდენტის პირადი მონაცემებით 140 კანდიდატი შეირჩა, რომელთაგან 110 გაივლის სტაჟირებას, ხოლო 30 — გამოსაცდელი ვადით დაინიშნება. გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ წარმატებული სტაჟიორები სამინისტროს სხვადასხვა სამსახურში დასაქმდებიან.

წარჩინებული სტუდენტების შერჩევა-შესწავლის პროცესი შსს-ს აკადემიაში მაისის თვეში დასრულდა.

სამინისტროში სტუდენტთა დასაქმების შესახებ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2013 წლის იანვარში „ქორთიარდ მარიოტში“ სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომელზეც მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის განვითარების მოკლევადიანი სტრატეგიის პროექტი გააცნო.

*„ვერსიანიუსი“*





ნათია ვასაძე
555-98-61-65

# „იბერია“ რუსთაველის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის საქმის შესწავლას და რუსთაველის წმინდანად შერაცხვას ითხოვს!

**4 ივნისს, წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიამ“ რუსთაველის ძეგლთან საპროტესტო აქცია გამართა. მოძრაობის წევრები და მათი თანამოაზრეები, საეკლესიო კალენდრიდან შოთა რუსთაველის ხსენების დღის ამოღებასა და პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ბუბა კიკაბიძისა და ირაკლი ჩარკვიანისთვის რუსთაველის სახელობის პრემიის გადაცემას აპროტესტებენ.**

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, 26 მაისს, კულტურისა და მეცნიერების სფეროში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის რუსთაველის პრემია გადასცა: მზექალა შანიძეს, ფრიდონ სულაბერიძეს, ირაკლი ჩარკვიანს, დავით დოიაშვილს, ვაჟა აზარაშვილს, მაგალი თოდუას, დავით წერედიანს, გიორგი ოჩიაურს, შალვა მოსიძეს, გენო კალანდიას, ირაკლი ოჩიაურს, ქეთევან მატაბელს, ბუბა კიკაბიძეს და ჯემალ აჯიაშვილს.

აქციის ორგანიზატორების მიერ, რუსთაველის ძეგლის წინ წარმოდგენილ „პლაკატებს“ შორის ბუბა კიკაბიძის ფოტო იწონებდა თავს, სადაც მომღერალი ავტომატით ხელში მხედრიონის ლიდერებს უმშვენებს გვერდს. აქციის მონაწილეებს არც რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დიდი მაესტროს რობერტ სტურუას ფოტო დავიწყებიათ რეჟისორისვე სიტყვებით: „ვეფხისტყაოსანი“ ესაა ირონიული ნაწარმოები ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, რადგანაც ავტორი პირდაპირ ვერ წერს ქართველების სიმდაბლეზე, რომანტიზმით უკეთებს კონტრასტს ჩვენს ცხოვრებას... მოვიგონე პერსონაჟი კაცი, რომელიც ვერ იტანს ამ წიგნს, მაგრამ ნაწარმოებს დგამს იმისთვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი“.

„ვერსიასთან“ საუბარში **აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ბესარიონ მიქავა აცხადებს, რომ** „შოთა რუსთაველის ხსენების დღე 1995 წელს საქართველოს საეკლესიო კალენდრიდან იმ მიზეზით ამოიღეს, რომ რუსთველი წმინდანი არ არისო. თუ



ასეა, ამ დღეს 1995 წლამდე რაღატომ აღნიშნავდნენ?! არადა, რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისთვის მართლაც ხელიხელსაგოგმანები სიწმინდეა და არ შეიძლება მისი სახელის ასე გაუფასურება. გაუფასურებაა აბა რა, ბუბა კიკაბიძესა და ირაკლი ჩარკვიანს რუსთაველის სახელობის პრემიებით რომ დააჯილდოვებ. ესოდენ სათაყვანებელ ჯილდოს პრეზიდენტი პირადი სიმპათიის საფუძველზე არ უნდა გასცემდეს. რა საერთო აქვთ რუსთაველის სახელთან მათ? მომიტევოს უფალმა, გარდაცვლილზე ცუდად არ ლაპარაკობენ, მაგრამ მამამისი რას ფიქრობდა, როცა მისი სახელით იღებდა ამ ჯილდოს? ან იქნებ ბუბას ეთვლება დამსახურებად 90-იან წლებში, ავტომატით რომ იდგა ქუჩაში და საკუთარ ხალხს ებრძოდა?! მოვითხოვთ, სასწრაფოდ გადაიხედოს იმ კომისიის შემადგენლობა, რომელიც გადაწყვეტილებას უღებს“.

**დეკანოზი, ელიზბარ დეკანოზიშვილი:** „წმინდა ილია მართალმა „ბედნიერი ერი“ გვიწოდა, აკაკიმ ბრძანა „ფურთხის ღირსი ხარ, საქართველო“. რაც დღეს გვჭირს, გენიოსთა ამ სიტყვების გაერთიანებით შეიძლება ავხსნათ: „ფურთხის ღირსი ბედნიერი ერის „ღირსეული“ შთამომავლები“. აი, ეს ვართ დღეს ჩვენ. მე რას ვაპროტესტებ დღეს, იცით?! — სიწმინდეთა შებღალვას... განა სიწმინდის შებღალვა არაა, რუსთაველის პრემიით რომ ირაკლი ჩარკვიანს დააჯილდოვებ?! სრულ ჭკუაზე თუა გელა ჩარკვიანი, ეს პრემია არ უნდა აეღო. ვაჟკაცობა ის კი არ არის, ტარიელ ჭანტურიამ რომ თქვა: 26 მაისს სისხლიან რუსთაველზე ავიღე პრემია და „მოვძუძგე“ იქედანო. ვაჟკაცობა ის იქნებოდა, მანამდე „მოეძუძგა“, სანამ იმ სისხლიან ორდენს დაიკიდებდა გულზე. რუსთაველის პრემია რამდენიმე წლის წინ საქართველოს პატრიარქს მიანიჭეს, ახლა კი, იგივე პრემიით აწ უკვე ვადაგასული პრეზიდენტი ირაკლი ჩარკვიანსა და ბუბა კიკაბიძეს აჯილდოვებს. მით უმეტეს, ბუბასთან ქართველ ხალხს დიდი პრეტენზია აქვს...“

**გიორგი კერვალიშვილი, აქციის ორგანიზატორი, ადამიანის უფლებათა დამცველი:** „დღეს ამ აქციით დავაფიქსირეთ ჩვენი პროტესტი, მაგრამ გაჩერებას არ ვაპირებთ და კიდევ გავმართავთ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს. გარდა ამისა, წერილობით მივმართავთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, კარგად შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და გააუქმოს რუსთაველის პრემიის ლაურეატთა ეს ე.წ. კომისია, რომელიც თვითმარქვია პრეზიდენტ სააკაშვილსაა დაქვემდებარებული. თხოვნით მივმართავთ საპატრიარქოსაც, შეფასდეს შოთა რუსთაველის ღვაწლი და დადგეს მისი წმინდანად შერაცხვის საკითხი. კარგი იქნება, თუ ჩვენს მოთხოვნას მთელი ქართული საზოგადოება შეუერთდება“.

# კონტროლის პალატის კანონდარღვევათა 160-გვერდიანი სკანდალური დასკვნის დეტალები




## ნაციონალებისთვის გაცემული რამდენიმეათასლარიანი პრემიები, წინასაარჩევნო „შეწერილი“ 13 მილიონი ლარი და დასაჭერი ჩინოვნიკების სია!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„ოცნების“ პარლამენტის 2012 წლის 21 ნოემბრის №69 დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ანუ კონტროლის პალატის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია შეიქმნა, რომელსაც სათავეში „რესპუბლიკელი“ ნოდარ ებანოიძე ჩაუდგა. 20 მაისს, როგორც იქნა, კონტროლის პალატის შესახებ დეტალური დასკვნა დაიდო. პარლამენტარებმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, ახლა უკვე მათი კოლეგა, ნაციონალი ლევან ბეჟაშვილისა და „ასევე ნაციონალი“, კონტროლის პალატის დღეს მოქმედი თავმჯდომარის, ლაშა თორდიას საქმიანობა შეამოწმეს. დასკვნიდან მედიაში, კონტექსტიდან ამოგლეჯილად, მხოლოდ ჟურნალისტ ლაშა ხარაზიშვილის პრემია გაჟღერდა, არადა, 160-გვერდიან ანგარიშში ბევრი, გაცილებით სკანდალური ხარჯი და ცნობილი გვარი ფიგურირებს. „ვერსიას“ დასკვნის სრული და საბოლოო დოკუმენტი კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, პარტია „ოცნების“ დეპუტატმა, კარლო კოპალიანმა გადასცა. სხვათა შორის, ამ კომისიის წევრები ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, გიორგი ვაშაძე, ზურაბ მელიქიშვილი, აკაკი ბობოხიძე და ზურაბ ჩილიგაშვილიც იყვნენ. თუმცა კონტროლის პალატის საქმიანობის შესახებ მოპოვებული სკანდალური ინფორმაცია საჯარო, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში გახდება და ამ თემაზე სპეციალური ბრიფინგებიც ჩატარდება. მის გასაჯაროებამდე კი დოკუმენტის ყველა დეტალს „ვერსია“ წინასწარ, ექსკლუზიურად გთავაზობთ:**

### რომელი ნაციონალი დეპუტატები დააჯილდოვა ლევან ბეჟაშვილმა და რატომ აძლევდა პარლამენტარ მარიამ საჯაიას დედას პრემიას დასვენებაში

დასკვნის მიხედვით, პირველი, რაც თვალში გვხვდება ისაა, რომ 2012 წელს კონტროლის პალატის ბიუჯეტმა 113 879 ათასი ლარი შეადგინა, წლის განმავლობაში კი იგი, მასში ორჯერ შეტანილი ცვლილებით, სულ 21 800 ლარით გაიზარდა. რამდენიმე ხარჯი აქ განსაკუთრებით საყურადღებოა. მაგალითად, კონტროლის პალატის მიერ წლის განმავლობაში გაწერილი საწვავის თანხა: ანგარიშის თანახმად, აუდიტის სამსახურის ბალანსზე 33 ავტომანქანა ირიცხებოდა, მათ შორის, მუშამდგომარეობაში — 23. თუ გენაუდიტორს აპრილამდე 1 ავტომანქანა ჰყოფნიდა, აპრილის შემდეგ 2-ის მომსახურება დასჭირდა, მის მოადგილეებს კი 27 000 ლიტრი საწვავი აქვთ დახარჯული. ირკვევა, რომ ე.წ. მორიგე მანქანებმა 35 610 ლიტრი საწვავი დახარჯეს და ჯამში, საწვავის თანხამ 2012 წელს 277 382 ლარი შეადგინა. სამაგიეროდ, ვერ ვარკვევთ და არსად ფიქსირდება, ვის ემსახურებოდა, ან რა ფუნქცია ჰქონდა ამ მორიგე მანქანებს. კიდევ უფრო გაურკვეველია, რა პრინციპით ურიცხავდა კონტროლის პალატა კოლოსალურ პრემიებს საკუთარ თანამშრომლებს. ჯერ ერთი, ბრძანების თანახმად, აუდიტის სამსახურის საშტატო ნუსხა 2013 წელს, 350 თანამშრომლით განისაზღვრა, მაგრამ ფაქტობრივ და მითითებულ მონაცემებს შორის თვალშისაცემი შეუსაბამობაა. კერძოდ, მითითებულია, რომ აუდიტის სამსახურში 250 თანამშრომელი მუშაობს, კონტროლის პალატის მიერ კომისიისთვის გადაცემული დოკუმენტაციით კი მათი რიცხვი 191-ია. სამაგიეროდ, ამ 191 კაციდან რამდენიმე ათეულს წლის განმავლობაში, ყოველთვიურად ისეთი პრემიები აქვს მიღებული, მასთან საწვავის ხარჯი მოსატანიც არ არის. 2012 წელს, აუდიტის სამსახურის შტატით მომუშავეთა პრემიებისთვის გაცემულია 166 330 ლარი, რაც შრომის ანაზღაურების 32,7%-ია. სხვათა შორის, 2006 წლიდან მოყოლებული, თანამშრომელთა საპრემიო ფონდი ზუსტად 5-ჯერ იზრდება, მაგრამ ეს კიდევ არაფერია კონტროლის პალატის 10 „რჩეული“ თანამშრომლის პრემიებთან შედარებით:

**2012 წელს აუდიტის სამსახურის 10 ხელმძღვანელ-თანამშრომელს პრემიის სახით დაერიცხა 347 222 ლარი, ანუ ხელფასის 105 %. რჩეულთა შორის არიან: გენაუდიტორის პირველი მოადგილე შოთა თარხნიშვილი (48 050 ლარი), გენაუდიტორის მოადგილე გიორგი ლაცაბიძე (39 425 ლარი), კონტროლის პალატის თავმჯდომარე აჭარაში, კახა კირტავა (37 500 ლარი), გენაუდიტორის მოადგილე დევი ვეფხვაძე (36 000 ლარი), ყველასათვის კარგად ცნობილი ნათია მოგელაძე (34 315 ლარი), სამმართველოს უფროსი ზვიად ხოფერია (32 550 ლარი), დეპარტამენტის უფროსი ნატო ზაალიშვილი (30 512 ლარი), დეპარტამენტის უფროსი ვახტანგ კეჟერაძე (30 500 ლარი), კაბინეტის უფროსი ირენა მელუა (30 000 ლარი), დეპარტამენტის უფროსი გიორგი ალასანია (28 370 ლარი).**

ამ 10 ადამიანზე გაცემული პრემია, დანარჩენი თანამშრომლების წლიურ ხელფასს, ცხადია, რამდენჯერმე აღემატება, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. 2012 წელს დარიცხულ ხელფასზე მეტი პრემია გაიცა კიდევ რამდენიმე თანამშრომელზე, რომელთა შორისაა:

**პარლამენტარი თინათინ ბოკუჩავა — 10 500 ლარი, ლალი თვარაძე — 14 200 ლარი, გიორგი კეკელიშვილი — 11 760 ლარი, ზურაბ მაისურაძე — 14 620 ლარი, ნინო ყიფიანი — 10 200 ლარი, ცირა ლაშქარავა — 7 200 ლარი, გიორგი არსენაშვილი — 11 700 ლარი, კიდევ ერთი პარლამენტარის, მარიამ საჯაიას დედა ნაზი არონია — 13 400 ლარი, გიორგი არსენაშვილი — 11 700 ლარი, ლუიზა მაკაროვა — 15 700 ლარი. ასევე, პარლამენტარი თინათინ ბოკუჩავა, რომელიც პატარა ასაკის მიუხედავად, გენაუდიტორის მოადგილე გახლდათ, მხოლოდ ამ პრემიას არ დასჯერდა და როგორც თანამდებობის პირმა, კიდევ სამ მოადგილესთან ერთად, 2012 წლის მაისში თავმჯდომარისგან 3 000 ლარი მიიღო. ოთხივე მოადგილის მიერ მიღებული პრემია ზუსტად სამჯერ მეტია, ვიდრე კონტროლის პალატის ყველა დანარჩენი, ანუ 88 აუდიტორის მიერ ერთად აღებული!**

სავარაუდოდ, კონტროლის პალატის შიგნით მიმდინარე უკანონო პროცესებზე პირში წყლის ჩასაგუბებლად კი, ზუსტად ამ პერიოდში, კონტროლის პალატის თავმჯდომარის კაბინეტის ყველა თანამშრომელმა ხელფასის 100 %-ის ოდენობის პრემია მიიღო — სულ 10600 ლარი, ხოლო შიდა აუდიტის უკლებლივ ყველა თანამშრომელმა ასევე ხელფასის 100%-ის ოდენობის თანხა, სულ 14 650 ლარი მიიღო!

რაც შეეხება ე.წ. პოლიტიკურ პრემიებს, 2012 წლის მაისში, პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის სამსახურის ყველა თანამშრომელმა, მათ შორის პოპულარულმა ნათია მოგელაძემ, რომელიც ამ დროს პარტიების მონიტორინგის სამსახურის უფროსი გახლდათ, ხელფასის 100 %-ის ოდენობის პრემია მიიღო, რამაც სულ 25 025 ლარი შეადგინა! აღსანიშნავია ისიც, რომ ფულადი პრემიების ჩამორიგების შესახებ მთელ ამ ბრძანებებს დღეს უკვე პარლამენტარი ნაციონალების კვოტით და კონტროლის პალატის მაშინდელი თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი გასცემდა. მის მიერ დაჯილდოვებულ ერთგულ თანამშრომელთა რიცხვში, მოქმედი დეპუტატის **თინათინ ბოკუჩავას** გარდა, ნაციონალების ყოფილი დეპუტატი, პარლამენტის ერთ-ერთი საუკეთესო იურისტი, **ზვიად კუკავაც** ფიგურირებს. იგი გენერალური აუდიტორის მრჩევლად 2012 წლის 29 ოქტომბრიდან მოგვევლინა. აუდიტორულ სამსახურში მუშაობისას, არც ერთ შემოსულ, გასულ და შიდამოხმარების დოკუმენტებში მისი გვარი არ ფიგურირებდა, თუმცა კუკავამ, როგორც „სანიმუშო თანამშრომელმა“, სპეციალური ბრძანებით, სარგოს სახით 4 272, პრემიის სახით კი 3000 ლარი მიიღო.

**ბეჟაშვილის უწყებამ არც ყოფილი პროკურორი, ახლანდელი სკანდალური პარლამენტარის, მარიამ საჯაიას დედა, ნაზი არონია დატოვა უყურადღებოდ. არონიას ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის აპარატის უფროსის პოსტზე, სარგოს სახით 26 400 ლარი, ფულადი ჯილდოს სახით კი 18 900 ლარი დაერიცხა.**

ამ ჩამონათვალში ნაზი არონიაც თითით საჩვენებელ თანამშრომლადაა მითითებული, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ფიქტიურად, რადგან მთელი 2012 წლის განმავლობაში არონიას სახელზე სულ 3 დოკუმენტი ფიქსირდება — აქედან მხოლოდ ერთი ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 1-ელ კვარტალში ბიუჯეტის შესრულებას, მეორე — დახასიათებაა პარლამენტში სტაჟირების გავლასთან დაკავშირებით და მესამე — მისივე განცხადებაა კუთვნილი შვებულების აღების შესახებ. ამის მიუხედავად, ნაზი არონიას, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ფულადი ჯილდოს სახით, მარტში 4 600 ლარი, აპრილში 2 200 ლარი, მაისში კი ასევე 2 200 ლარი აქვს დარიცხული! კონტროლის პალატამ არც შვებულებაში გასული არონია დატოვა უფულოდ და მას ერთთვიან დასვენებაში, „სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის“ მაინც 2 200 ლარი გადაუხადა. გარდა ამისა, ნაზი არონიას ბინის დაქირავება 2012 წელს სახელმწიფოს 4 500 ლარი დაუჯდა!

*დასასრული მე-4 გვერდზე*

პრესკონფერენცია

# იძებნება ზურაბ ადეიშვილის ძმა — დავით ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილს კი ბრალი ორ კვირაში დაუმძიმდება!

რუსუდან შელია
557-100-768

4 ივნისს, გენერალური პროკურორის ტრადიციული პრესკონფერენცია არჩილ კბილაშვილმა ასტანასა და სტრასბურგში მისი ოფიციალური ვიზიტების შეფასებით დაიწყო. როგორც მან მედიის წარმომადგენლებს განუმარტა, ასტანაში ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი, სტრასბურგში კი ევროსაბჭოს ოფიციალურ პირებთან შეხვედრისას საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა. გენერალურმა პროკურორმა ჟურნალისტებს იმ პირების სიაც წარუდგინა, რომლებიც ქონების უკანონო მითვისებაში არიან მხილებულნი: **„კახეთის კუდ-ის უფროსმა ზურაბ ლალიაშვილმა და მისმა მოადგილემ ღვინის ქარხნის დირექტორს, ვინმე მეზურნიშვილს სამი ავტომობილის შეძენა აიძულეს. გამოძიების დასრულების შემდეგ ორივე ყოფილი თანამდებობის პირი პასუხისგებაში მიეცა, თუმცა ზურაბ ლალიაშვილი საქართველოში არ იმყოფება, მისი მოადგილე კი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა. პასუხისგებაშია მიცემული კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე, ზურაბ ადეიშვილის ძმა დავით ადეიშვილიც, რომელმაც თელავის ბაზრის შრომით კოლექტივს შრომითი მინდობილობების გადაცემა ჯაბრაევ ხანგოშვილის სახელზე აიძულა. დავით ადეიშვილიც იძებნება, რადგან ის საქართველოში არ იმყოფება“.**

არჩილ კბილაშვილი ვანო მერაბიშვილის განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრს ციხეში წელიწადზე მეტი დროის გატარება მოუწევს, თუ, რა თქმა უნდა, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება არ შედგა: **„ვანო მერაბიშვილის მიმართ დღეს წარდგენილი ბრალი სამ ეპიზოდს მოიცავს, თუმცა სანდრო გირგვლიანის საქმეც მის წინააღმდეგ წარსადგენად მზადდება. კერძოდ, გირგვლიანის გარდაცვალების შემდგომ გამოძიება არასწორად წარიმართა და მტკიცებულებების ფალსიფიკაცია მოხდა. როგორც გაცხადდა, აღნიშნული კანონდარღვევები იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ პასუხისმგებლობისგან მაღალი თანამდებობის პირები, კერძოდ, დათა ახალაია აერიდებინათ, ამასთან „შარდენ ბარის“ ინციდენტში ვანო მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას კავშირი არ გამოკვეთილიყო. ამ ეტაპზე, ცალკეულ დეტალებს ვხვეწთ და ერთ-ორ კვირაში ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდება. აღსანიშნავია, რომ პარალელურად, სხვადასხვა თემების გამოძიებაც მიმდინარეობს, რომლებშიც როგორც მინიმუმ, მერაბიშვილის შემხებლობა იკვეთება“.**



მისივე განცხადებით, 26 მაისის საქმე, ვანო მერაბიშვილის დაკავების შემდეგ, ფაქტობრივად, დაიხურა, შესაბამისად, ხმები „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის მისამართით კითხვების არსებობის შესახებ, გადაჭარბებულია. კბილაშვილმა განმარტებით, ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ პროკურატურაში გამოძიება არ მიმდინარეობს. გენერალური პროკურორი გეგუთის კოლონიაში პატიმარ ლევან კორტავას გარდაცვალების ფაქტსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის გარდაცვალების მიზეზად უბედური შემთხვევის დასახელება გამორიცხულია. მისი განცხადებით, ამ მიმართულებით გამოძიებას დასავლეთ საქართველოს პროკურატურა აწარმოებს, შესაბამისად, წინასწარ დასკვნის გაკეთება ნაადრევია. რაც შეეხება სხვა გახმაურებულ საქმეებს, მთავარი პროკურორმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ აფრასიძეების, ზურაბ ჟვანიასა და 7 ნოემბრის საქმეებზე ინტენსიური გამოძიება ამ ეტაპზეც გრძელდება. ასევე განახლებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ლევან სამხარაულის გარდაცვალების საქმის გამოძიებაც: **„კრიტიკას, თითქოს სამართლიანობის აღდგენა არ მიმდინარეობს ან ნელი რეჟიმით მიდის, არ ვიზიარებ. პირიქით, სიჩქარე და რევანში შურისძიებას დაემსგავსებოდა, არადა, ჩვენ შურისმაძიებლები და რევანშისტები არ ვართ. ამის მაგალითი წლების წინ კარგად დავინახეთ, რამაც ქვეყანას სამართლის დამკვიდრების ნაცვლად, გულისტკივილი მოუტანა. სამართლიანობის აღდგენა ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ საზოგადოებას მოვუწოდებ ეს ყველაფერი დინამიკაში დაინახოს“.**

პრესკონფერენციის დასასრულს არჩილ კბილაშვილმა ლაფანყურთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოები არც ამ შემთხვევაში უნდა აჩქარდნენ, რადგან საქმემ დიდი ხანია, პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო.

ექსკლუზიური ვერსია

# კონტროლის პალატის კანონდარღვევათა 160-გვერდიანი სკანდალური დასკვნის დეტალები

*მე-3 გვერდიდან*

## როგორ ამოიღეს კონტროლის პალატის „მოჩვენებებმა“ 2012 წელს ბიუჯეტის სასარგებლოდ 13 მილიონი ლარი!

გარდა იმისა, რომ აუდიტის სამსახურის 10 გამორჩეული თანამშრომელი და რამდენიმე ნაციონალი დეპუტატი ლევან ბეჟაშვილმა ყოველთვიურ პრემიაზე „დასვა“, კონტროლის პალატაში, ნოდარ ებანოიძის დასკვნის მიხედვით, „მოჩვენებებიც“ გამოჩნდნენ. ჯერ ერთი, დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2012 წელს ეს ამხელა სისტემა ისე მოქმედებდა, წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმაც კი არ დაუმტკიცებია, რითაც ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი და აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები დაარღვია. თუ ამ უწყების მიერ ჩატარებულ აუდიტორულ დასკვნებსაც გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ 2012 წლის ყველა შემოწმება, ანუ აუდიტი არა თავმჯდომარის ბრძანებებით, არამედ აუდიტის ობიექტებისადმი გაგზავნილი წერილების საფუძველზეა ჩატარებული. მეტიც, არც ამ წერილებში და არც რომელიმე სხვა დოკუმენტში არსადაა მითითებული არც აუდიტორული ჯგუფის შემადგენლობა, არც შემოწმების ვადები და სხვა აუცილებელი დეტალები. ანუ კონტროლის პალატაში დავალებებს ვინ ვისგან იღებდა და ვინ ასრულებდა, არსად, არც ერთ დოკუმენტში არ ფიქსირდება! ამით კი ირღვევა რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, აუდიტის ჩასატარებლად, ჯერ ერთი, შესაბამისი ბრძანება უნდა გაიცეს და მეორეც, აუდიტის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის ხელმძღვანელი, ობიექტის დასახელება, აუდიტის ფორმა, მეთოდი, მოცულობა, ვადა და შემოწმების საფუძველი დეტალურად უნდა განისაზღვროს. შეიძლება თამამად ითქვას,

**არ არსებობს 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში, მათი წევრებისა თუ მხარდამჭერების გარშემო ჩატარებული პოლიტიკური რეიდების არც ერთი ავტორი, ბრძანების გამცემი და შემსრულებელი. ლეგენდარული ნათია მოგელაძე კი ყველგან მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ იგი, უბრალოდ, პოლიტიკურ პარტიათა შემმოწმებელ სამსახურს ხელმძღვანელობს.**

ყველას კარგად ახსოვს, ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ რამდენი წევრი დაუჯარიმეს, რამდენიმე მათგანის, მათ შორის მოქმედი დეპუტატების სახლებსა და მოძრავ ქონებას კი ყადაღა დაადეს. ამის და კიდევ იმის მიუხედავად, რომ კონტროლის პალატა ყველამ უპირობოდ აღიარა 2012 წლის მთავარ სადამსჯელო ორგანოდ, ამ უწყებაში აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების არც ერთი შემთხვევა არ ფიქსირდება, ხოლო ის კომისია, ვისაც სადავო საკითხების განხილვა ევალება, ფაქტობრივად, უფუნქციოდაა დარჩენილი. იმის პარალელურად, რომ კონტროლის პალატა მაშინდელ პოლიტიკურ პარტიებს მისხალ-მისხალ ამოწმებდა, ნოდარ ებანოიძის კომისიის დასკვნის თანახმად, კომპლექსური აუდიტორული შემოწმება მთელ რიგ მსხვილ მხარჯავ უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 2012 წლის განმავლობაში საერთოდ არ ჩატარებულა! არადა, თურმე 2011 წელს კონტროლის პალატამ აუდიტორული საქმიანობისთვის დახარჯა 3 მილიარდ 833 მილიონი ლარი, თუმცა უწყება ამ თანხის წარმომავლობის დამადასტურებელ მონაცემებს საპარლამენტო კომისიის წინაშე ვერ წარადგენს!

სამაგიეროდ, კონტროლის პალატას 2012 წელს, აუდიტორულ ფუნქციებზე მეტად, პროკურატურის უფლებამოსილებები შეუთავსებია — მთელი წლის მანძილზე კონტროლის პალატა და პროკურატურა შეწყობილად მუშაობდნენ და ერთმანეთში „პოლიტიკურ ტყვეებს“ ცვლიდნენ:

**კონტროლის პალატის მიერ მთავარი პროკურატურისთვის გადაგზავნილი მასალების საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 18 პირი! სამართალდამცავი ორგანოების მიმართვის საფუძველზე კი კონტროლის პალატის ექვსმა აუდიტორმა ჩაატარა 74 ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკური შემოწმება-ექსპერტიზა, რის შედეგადაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 53 პირი და შედეგად, კონტროლის პალატამ და პროკურატურამ 2012 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 13 მილიონი ლარი ამოიღო!**

ვითარება კიდევ უფრო დაძაბული და გაურკვეველი მას შემდეგ გახდა, რაც 2012 წლის 3 იანვარს პოლიტპარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კონტროლის პალატაში პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური შეიქმნა. მის უფროსად ნათია მოგელაძე დაინიშნა, რომელსაც, თავის მხრივ, ერთი მოადგილე, 4 მთავარი კონსულტანტი, 12 ექსპერტ-ანალიტიკოსი და ერთიც სპეციალისტი ჰყავდა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა კი ვითარება საბოლოოდ აურია. ეს განსაკუთრებით კარგად კანონის 261-ე მუხლმა გამოაჩინა, რომლის მიხედვით, „ოცნების“ წევრებსა და მხარდამჭერებს პანტა-პუნტით აჯარიმებდნენ. კონტროლის პალატის მიერ პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მასალების საფუძველზე,

**2012 წლის საარჩევნო პერიოდში, პროკურატურამ და სასამართლოებმა განიხილეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 36 საქმე — 11 იურიდიული პირის, 25 კი ფიზიკური პირის მიმართ. სასამართლოების გადაწყვეტილებით, იურიდიული პირების მიერ განხორციელებულმა უკანონო შემოწირულობამ შეადგინა 283 16 ლარი, ფიზიკური პირების მიერ უკანონოდ გადარიცხულმა თანხებმა კი — 235 977 ლარი, ჯამში, 264 289 ლარი. უფრო შთამბეჭდავია ამ პირებისთვის დაკისრებული საჯარიმო სანქციები, რაც 1 438 201 ლარს შეადგენს!**

ისიც ყველას ახსოვს, რომ მძიმე არჩევნების წინ ერთი „ნაციონალური ტრანსფერი“ თვით კონტროლის პალატაშიც მოხდა — ლევან ბეჟაშვილი, თავმჯდომარის პოსტზე ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ შეცვალა. მოგვიანებით, „მიუკერძოებელი“ ლევან ბეჟაშვილი ნაციონალების საპარლამენტო სიაში ვიხილეთ და მაშინვე ბევრმა იეჭვა, რომ კაცი, რომელსაც ამდენი კანონდარღვევის შემდეგ ციხე არ ასცდებოდა, „ნაციონალებმა“ დეპუტატის მანდატს შეაფარეს. მასთან ერთად თანამდებობიდან გადადგა მის მიერ უხვად დაჯილდოვებული მოადგილე, ახალგაზრდა გოგონა და დღევანდელი პარლამენტარი თინათინ ბოკუჩავაც. ორივე მათგანი დღეს მოქმედი პარლამენტის წევრია, „ოცნების“ დეპუტატების წინააღმდეგ კი არაერთ ბრალდებას ვისმენთ მათ შორის გამეფებული კოჰაბიტაციის წინააღმდეგ! თუმცა როგორც ნოდარ ებანოიძის საპარლამენტო კომისიის დასკვნის ბოლოს ვკითხულობთ, ამ დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრები აუდიტის სამსახურის 2012 წლის საქმიანობის ყველა მიმართულებას უარყოფითად აფასებენ. შესაბამისად,

**კომისია ითხოვს, მის მიერ დადებული დასკვნა და იქ ასახული კანონდარღვევები, სამართლებრივი შეფასებისთვის, მთავარ პროკურატურას გადაეგზავნოს. ასევე, უნდა დადგეს კომისიის დასკვნაში მითითებულ კანონდარღვევათა ჩამდენი პირების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. პარლამენტის მიერ მომზადდეს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი, რომელიც კონტროლის პალატის უკეთესად საქმიანობას უზრუნველყოფს! კომისიის ამ დასკვნასა და მასალებს კი საქართველოს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს!**

# ზაზა ხატიაშვილი: „ჩემი უნდა ეშინოდეს დავით უსუფაშვილსა და ქართულ ოცნებას, რომ სააკაშვილთან სამათხოვროდ გამიხადეს საქმე!“



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**აქცია ქუთაისის პარლამენტის წინ და მთელი ქვეყნის მასშტაბით ადვოკატების აჯანყება — ასეთი იყო ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის, ზაზა ხატიაშვილის რეაქცია პარლამენტის მიერ ადვოკატების შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებზე. ამის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო საინტერესოდ განვითარდა: ხატიაშვილმა პრეზიდენტს ცვლილების პაკეტზე ვეტოს დადებისკენ მოუწოდა, ვეტოებისმოყვარულმა სააკაშვილმაც ეს უფლება კიდევ ერთხელ გამოიყენა და, როგორც ადვოკატთა ასოციაციის შეფი ირწმუნება, „ოცნება“ ამ ვეტოს, სხვების მსგავსად, აღარ ან ველარ გადალახავს. სამაგიეროდ, ხატიაშვილი ძალოვანი სტრუქტურების ორი მაღალჩინოსნის, ღარიბაშვილ-ნაცვლიშვილის დაჭერას ითხოვს. რა არის შს მინისტრთან დაპირისპირების რეალური მიზეზი, რომელი პარლამენტარი უჭერს მხარს ხატიაშვილს და რა პრობლემებზე საუბრობს ადვოკატთა ნაწილი თავად ადვოკატთა ასოციაციაში — „ვერსიის“ კითხვებს ზაზა ხატიაშვილმა უპასუხა.**

**— ადვოკატების შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა, რომელთა მიხედვით, როგორც ამბობენ, ადვოკატებს უფლებები კი არ უმცირდებათ, პირიქით, ეზრდებათ, ოღონდ 2014 წელს. აგვიხსენით, კონკრეტულად, რას აპროტესტებთ?**

— 2012 წლის ოქტომბერში ხმა სამართლიან სასამართლოს მივეცით, რომლის ძირითადი პრინციპი პროკურორისა და ადვოკატის თანასწორუფლებიანობაა. ახალი ხელისუფლება გვატყუებს როცა ამბობს, სამართლიანი სასამართლო გვინდაო, რადგან ამას საკანონმდებლო დონეზე თავად ეწინააღმდეგება. ადვოკატის უუფლებო მდგომარეობის გამოსასწორებლად, წინა წლებში ხან რომელ საელჩოსთან ვიდებდი ბორკილებს, ხან რომელთან. დღეს თეა წულუკიანმა პარლამენტში კანონპროექტი შეიტანა და ადვოკატისა და პროკურორის უფლებების დაახლოება მოითხოვა. უნდა შეცვლილიყო სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მეორე ნაწილი, სადაც წერია, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება, სასამართლოს ამოღება-ჩხრეკის შუამდგომლობით მიმართოს. უნდა შესულიყო მეორე ცვლილებაც, რათა ადვოკატს საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაცია ისევე გამოეთხოვა, როგორც პროკურორს. პირველი მოსმენის შემდეგ ორივე პუნქტი მიიღეს, მეორე მოსმენისას კი მეორე ნაწილი სადღაც გაქრა!

**— ვინ გააქრო ეს ნაწილი?**

— ეჭვი მაქვს, იურიდიულმა კომიტეტმა, ამიტომაც გავმართე აქცია პარლამენტთან. ამ კომიტეტში ვახტანგ ხმალაძე, შალვა შავგულიძე და სხვები არიან და, ვთქვათ სიმართლე, ოპოზიცია ამას ვერ გააკეთებდა. ესეც არ იკმარეს და 120-ე მუხლის მეათე პუნქტში, ყველაზე დიდი უბედურება მოიგონეს — ადვოკატის მიერ გამოთხოვილი მტკიცებულება პირველად ბრალდების მხარემ უნდა გამოიკვლიოს!

**— ანუ, ამით პირიქით, პროკურატურა ძლიერდება, მაგრამ შავგულიძე წლების განმავლობაში ადვოკატი და თქვენი თანამებრძოლი არ იყო ისევე, როგორც სხვა დღევანდელი დეპუტატები?**

— ასეა და დავიჯერო, ამას იურიდიულ კომიტეტში ვერ მიხვდნენ?

**უფრო მეტიც, ამის ფონზე 84-ე მუხლი გაგვიქრეს, რომლის მიხედვით ადვოკატს საგამონაკლისო მტკიცებულების წარდგენა შეეძლო. ამის სანაცვლოდ კი, 2014 წლიდან შემოაქვთ კოჭლი და ხელფეხდაჭრილი 111-ე მუხლი, რომელსაც ვერაფერში გამოვიყენებთ! აქ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ პარლამენტარების 80%-მა არ იცოდა, ხმა რას მისცა და ყოვლად გაუგებარ განცხადებებს აკეთებდა. პარლამენტში შესული ჩვენი ადვოკატებიც უსირცხვილოდ გამოდიან! მათ შორის მხოლოდ 2 ადამიანს, ეკა ბესელიასა და გედევან ფოფხაძეს ეყო ღირსება, ჩვენთვის მხარი ღიად დაეჭირა. ჩემი ასოციაციიდან დღეს 5 ადვოკატი ზის პარლამენტში და ხუთივე სულით პროკურორი ყოფილა!**

**— კობა დავითაშვილმა შენიშნა, რომ სააკაშვილისგან, ვეტოს სახით, „საჩუქარი“ არ უნდა აგელოთ! თუმცა ეს ვეტოც ვერაფერს შეცვლის, რადგან „ოცნებას“ მისი დაძლევის მექანიზმი აქვს.**

— ჯერ ერთი, კობას განცხადებაზე კომენტარი რომ გავაკეთო, მეც მის დონეზე უნდა დავეცე. ბოიკოტს ვუცხადებ ეკა ბერიძის გადაცემასაც, რადგან ერთ-ერთ ეთერში მთავარი თემა ისე ვიყავი, თავშიწამოსარტყმელ სტუმრადაც არ მიმიწვია!

**ვიცი, რასაც ახლა ვიტყვი, არ დამიბეჭდავთ — ირაკლი ღარიბაშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი ციხეში უნდა ისხდნენ! ეს ორი ადამიანი სამოქალაქო საზოგადოების მტერია და ისინი ქვეყანას იმაზე უარეს მდგომარეობაში აგდებენ, ვიდრე ადეიშვილ-მერაბიშვილის დროს იყო! პოლიციასა და პროკურატურაში ასეთი ქაოსი არ მახსოვს! სწორედ იმ დღეს, როცა ქუთაისში საპროტესტო აქცია გავმართე, მესამე მოსმენით მიიღეს ცვლილებები პროკურატურის შესახებ კანონში, რომლის მიხედვით, პროკურორის დანაშაულს ისევ პროკურორი იძიებს, ამიტომ, იძულებული ვარ, ჩემს მეგობარ ადვოკატებზე, იმის მიუხედავად, რომ მათი თავმჯდომარე ვიყავი, ვთქვა — ისინი სულით პროკურორები არიან! აქცია ქუთაისში ჰაერზე კი არ გავაკეთე, ჯერ შემოვიარე ადვოკატთა დაჯგუფებები თელავში, ფოთში, ბათუმში, გორში და გავარკვიე, მზად იყვნენ თუ არა პროტესტისთვის! ივანიშვილსა და ქართულ ოცნებას რაც არ უნახავს, იმას ვაჩვენებ!**

არც ის დამვიწყებია, რომ პროკურატურის დღეს პრემიერი პროკურატურაში მივიდა, პოლიციის დღე პოლიციას მთელმა პარლამენტმა მიულოცა, ადვოკატების დღეს კი ერთი SMS არავის გამოუგზავნია. ეს იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლებაში დღეს პოლიციური მენტალობის ხალხია!

**— ამას ვისზე ამბობთ?**

— მთელი პარლამენტი ასეთია!

**— მათ შორის, თქვენი ცოლისდა ელისო ჩაფიძეც?**

— მხოლოდ ბესელია, ფოფხაძე და ჩაფიძე გამობრძანდნენ და მხარი დაუჭირეს ადვოკატებს. მოვიდა გუბაზ სანიკიძე. ვესაუბრე ანი მიროტაძეს და „ფორუმი“ მხარს მიჭერს. ვესაუბრე ბიძინა გუჯაბიძეს და ამიტომაც მგონია, რომ ვეტოს უმრავლესობის ათამდე დეპუტატი არ დაძლევს! კანონი უკვე მესამე მოსმენით იყო გასული, როცა სააკაშვილს მივმართე, სიცოცხლეში არაფერი მითხოვია, ამ კანონს ვეტო დაადე-მეთქი, მაგრამ მანამდე დავით უსუფაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მივმართე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია!

**— სააკაშვილი დღეს ლამის პერსონა ნონგრატაა ქვეყანაში, არ გეშინიათ, რომ ამ მოქმედებებით მასთან გაიგივდებით?**

— სწორედ მე მოვითხოვე პერსონა ნონგრატად სააკაშვილის გამოცხადება. დღეს ისევ მე მოვუწოდე სააკაშვილს, ამ კანონისთვის ვეტო დაედო. მე რისი უნდა მეშინოდეს, ბიძინა ივანიშვილს ეშინოდეს ზაზა ხატიაშვილის! სამი წელი მოსაკლავად დამდევდნენ, მავიწროვებდნენ, ამიტომ სწორედ ჩემი უნდა ეშინოდეს დავით უსუფაშვილსა და ქართულ ოცნებას, რომ სააკაშვილთან სამათხოვროდ გამიხადეს საქმე! როცა სააკაშვილს ვებრძოდი, პიროვნებას კი არა, რეჟიმს ვუპირისპირდებოდი, დღეს მაქვს მტკიცებულებები, რომ ეს მთავრობა უკვე ნამდვილ რეჟიმად ყალიბდება. პოლიციამ 3 დეკემბერს ძმები, ლაშა და გიორგი სოზაშვილები აწამა, ერთ-ერთი ჩემი ნათესავი აღმოჩნდა და მეც ხელში მტკიცებულებები ჩამივარდა. მათგან ერთი კბილის ექიმია, მეორე — ფინანსური მენეჯერი. ვიდეოფირი რომ ამოიღოთ, ნახავთ, როგორ აკავებენ მათ უფორმო პოლიციელები, საქმეში კი პოლიციის დახეული ფორმა ჩაიდო. ანუ ფორმა დახიეს და მერე ჩადეს მტკიცებულებებში, სინამდვილეში კი, ძმები თავს არავის დასხმიან.

**— თქვენი ნათესავები რომ დაიჭირა, ამიტომ უპირისპირდებით ღარიბაშვილს ასე აქტიურად?**

— აქ ნათესაობა არაფერ შუაშია! მე ღარიბაშვილს პირადადაც შევხვდი — მითხრა, ამ საქმეს მივხედავო და იგი პირად კონტროლზე აიყვანა. თუ ვანო მერაბიშვილმა ცოლის გამო პასუხი უნდა აგოს, ღარიბაშვილმა რატომ არ უნდა აგოს პასუხი? ერთსაც გეტყვით — „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს ადვოკატების 80% მხარს არ დაუჭერს! ვინც ამ დღეში გვაგდებს, მას ხმას არ მივცემთ! ჩემი მოწოდებით, 2012 წლის ოქტომბერში ივანიშვილის ადვოკატების 80-90% მიემხრო, რაც დღეს გამორიცხულია!

**— ალტერნატიული საპრეზიდენტო კანდიდატიც ხომ არ შეარჩიეთ?**

— ნინო ბურჯანაძე წარმოდგენილ კანდიდატებს შორის ყველაზე ღირსეულია, რადგან, ჯერ ერთ, ქვეყანაში გამოცდილი პოლიტიკოსი უნდა მოვიდეს და მეორეც, ის „ოცნებიდან“ არ უნდა იყოს!

**— ბურჯანაძე არ იყო იმ რეჟიმის ნაწილი?**

— ზუსტად ამიტომ არ შექმნის ახალ რეჟიმს! დღეს მე ვტეხ ხელახალ განგაშს.

**— სხვათა შორის, როგორც ამბობენ, გაუგებრობა ასოციაციაშიც ხდება — ადვოკატებს 200 ლარის ოდენობის საწევროს გადაუხდელობის გამო რიცხავთ, თქვენი გამოცდების ჩაუბარებლობის შემთხვევაში კი, სერტიფიცირებული ადვოკატები სისხლის სამართალში ვერ მუშაობენ — რატომ?**

— გეტყვით, რაც ხდება — მოსამართლეები და პროკურორები ითხოვდნენ ასოციაციაში გაწევრიანებას, მე უარი ვუთხარი და კუბლაშვილის სასამართლოში წავაგე.

**— კუბლაშვილი რა შუაშია, რაშია პრობლემა, რატომ უთხარით უარი?**

— ადვოკატთა შესახებ კანონის 21-ე მუხლის მესამე მუხლის მიხედვით, ასოციაციაში უნდა გაწევრიანდეს პირი, რომელსაც 7 წლის განმავლობაში ადვოკატის, პროკურორის ან მოსამართლის გამოცდა აქვს ჩაბარებული. ამ პირებმა სასამართლოსა და პროკურატურაში იმუშავეს და ასოციაციაში არ გაწევრიანდნენ, მე კი 7 წლის მერე ვეუბნები, ეს გამოცდა ჩააბარონ! სასამართლო მპასუხობს, რომ ამის უფლება არ მაქვს და იძულებული ვარ, ეს ხალხი ასოციაციაში გავაწევრიანო. თუ ეს წესი ადვოკატზე ვრცელდება, პროკურორს რატომ უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი იურისტთან შედარებით?! საწევროებს რაც შეეხება, დიახ, ადვოკატები წელიწადში 200 ლარს იხდიან, რადგან ჩვენ რომ ბიუჯეტიდან ვფინანსდებოდეთ, ხელისუფლებაზე ვიქნებოდით დამოკიდებული! საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატებს უფლებამოსილება უწყდებათ, რადგან ჩვენვე ვაფინანსებთ ეთიკის კომისიასაც. გარდა ამისა, დავამკვიდრე წესი — ადვოკატი ვალდებულია, ყოველწლიურად სავალდებულო კურსი გაიაროს და სასწავლო ცენტრი და განგრძობადი იურიდიული განათლებაც ამ 200 ლარიდან ფინანსდება.

**— და ერთი ადვოკატიც ვერ იტყვის, რომ ხატიაშვილი ფულს ჯიბეში იდებს?**

— ზაზა ხატიაშვილი ფულს ჯიბეში არ იდებს! ასოციაციის თავმჯდომარეობის ვადა დეკემბერში მეწურება. ერთი ადვოკატიც რომ გამოვიდეს და დამისაბუთოს, რომ მე რამე გავაფუჭე, ამ თანამდებობაზე კენჭს აღარ ვიყრი!

## ვერსიანიუსი

## თურქეთში მეჩეთები და უნივერსიტეტები დაჭრილების მიმღებ პუნქტებად გადაიქცა, შეტაკების დროს ქართველი სტუდენტი დაშავდა



სტამბულში, ბეშიქთაშის რაიონში, დემონსტრანტების პოლიციასთან შეტაკება, ყველაზე სისხლიანი გამოდგა მას შემდეგ, რაც გასულ კვირაში ქვეყანა მასობრივმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა. ინფორმაციას ამის შესახებ BBC ავრცელებს. მეჩეთებმა, მაღაზიებმა და აქციის მიმდინარეობის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე უნივერსიტეტების შენობებმა, დროებით სამედიცინო პუნქტების ფუნქციები იტვირთეს, ვინაიდან დაჭრილებს პირველად სამედიცინო დახმარებას სწორედ იქ უწევენ. პროტესტის მონაწილეებმა ხიდების კონსტრუქციები დაშალეს და მათგან ბარიკადები ააგეს. პოლიციამ ამ ქმედებას ცრემლსადენი გაზით უპასუხა. შეტაკებაში 10 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. ხელისუფლების მონაცემებით, მხოლოდ 2 დღის განმავლობაში, ქვეყნის 67 ქალაქში 1 700 პირია დაპატიმრებული. პრემიერ-მინისტრი ერდოღანი, მომხდარ არეულობებში ოპოზიციას ადანაშაულებს. ის დარწმუნებულია, რომ პროტესტის უკან მარგინალური დაჯგუფებები დგანან, რომლებსაც მხარს საზღვარგარეთიდან უჭერენ. თურქეთი მასობრივმა აქციებმა პარასკევს მოიცვა. სტამბულში შეკრებილი მომიტინგეები ტაქსიმის მოედანზე მდებარე „გეზი პარკის“ გაჩეხვას და მის ადგილას სავაჭრო ცენტრის მშენებლობას აპროტესტებენ. თურქეთის ქალაქ ესქიშეჰირში პოლიციასთან შეტაკების დროს საქართველოს მოქალაქე, 19 წლის სტუდენტი დაშავდა. იგი ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული და მისი მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

**„დაზარალებული შაბათს მოვინახულე, რეანიმაციულ განყოფილებაშია. მისი განცხადებით, აქციის დროს ბლაგვი საგანი ჩაარტყეს თავში და ამის შემდგომ აღარაფერი ახსოვს“,** — განაცხადა საქართველოს კონსულმა თურქეთში თორნიკე ბერეკაშვილმა. ამ დროისთვის თურქეთში შეტაკებები ისევ გრძელდება. ბოლო მონაცემებით, საპროტესტო აქცია ქვეყნის 60-ზე მეტ ქალაქში მიმდინარეობს. 3 დღის განმავლობაში პოლიციამ 900-ზე მეტი დემონსტრანტი დააკავა. დაშავებულია 500-მდე ადამიანი.

*„ნიუსპრესი“*

რუსუდან შელია
557-100-768

# ნანა დევდარიანი: „ვერ ამიხსნია, რატომ დასახელდა გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად!“

**3 ივნისს, გაზეთ „ვერსიისა“ და ტელე-რადიო კომპანია „ობიექტივის“ ერთობლივ პროექტში „ვერსიის“ საათი“ სტუმრობისას, ყოფილმა სახალხო დამცველმა და ცესკო-ს თავმჯდომარემ, პოლიტოლოგმა ნანა დევდარიანმა ოკუპირებულ რეგიონებში რუსი მესაზღვრეების ქმედება შეაფასა, ასევე ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და უკვე დასახელებულ საპრეზიდენტო კანდიდატებზეც. „ვერსია“ გადაცემის საგაზეთო ვარიანტს გთავაზობთ.**



— სოფელ დიცში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, პრემიერმა საკმაოდ სწორი განცხადება გააკეთა — არ შეიძლება, რუსეთს პირობითი საზღვრის გადმოწევა აწყობდესო. რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში რუს ჯარისკაცებს სტალინის ძეგლის აფეთქებაში ფულს უხდიდნენ, ქართველი ამომრჩევლის გასაღიზიანებლად სპექტაკლი დადგეს, თითქოს ახალი ხელისუფლების პირობებში რუსეთი კონფლიქტურ რეგიონებში საზღვრებს აფართოებს?!

— **რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ წალენჯიხის რაიონის სოფლებშიც რუსმა მესაზღვრეებმა გზების გათხრა დაიწყეს. ნაციონალურ მოძრაობას იმის რესურსი აქვს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ მსგავსი დივერსიული პროცესები აწარმოოს?**

— დანამდვილებით ვერ ვიტყვი, თუმცა ამ ფაქტების ირგვლივ საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, რასაც შესაბამისი გამოძიებაც სჭირდება. სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძემ საკმაოდ სწორად განაცხადა, მსგავს სიტუაციებში ხელისუფლებაში უნდა იყოს ერთი ადამიანი მაინც, რომელიც, როგორც მინიმუმ, ტელეფონით რუსეთის პირველ პირებს დაელაპარაკება და საქმის ვითარებაში გარკვევას შეეცდება. სამწუხაროდ, მმართველი გუნდის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში მხოლოდ ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრით შემოიფარგლება. არადა, უკვე დიდი ხანია დადგა დრო, როცა რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯები უნდა გადავდგათ.

— **დავით უსუფაშვილმა განაცხადა, სოფელ დიცთან შექმნილ პრობლემას „სხვანაირი სტრატეგიით“ მოვაგვარებთო. ამ შემთხვევაში, დასავლეთის განცხადებები რამდენად შედეგის მომცემი იქნება თუ საერთაშორისო თანამეგობრობამ კონფლიქტი უბრალოდ გაყინა?**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ ემუქრება, რაც დასავლეთის განცხადებებში დიდი ხანია ხაზგასმით იგრძნობა. ასე რომ, მითიური და ილუზიური ნატო-ს ხათრით, ეროვნული ინტერესების დათმობა, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. მიუხედავად იმისა, რომ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებამ ბევრი გააღიზიანა, რეინტეგრაციის მინისტრმა აბსოლუტურად სწორად აღნიშნა, რომ დღეს რუსეთმა ომში ვერ უნდა ჩაგვითრიოს, რადგან თუ დიცთან 300 მეტრით საზღვრის გაფართოებაზე ვიომებთ, პერსპექტივაში გაცილებით მეტ ტერიტორიაზე ვიტყვით უარს.

**ახალი ხელისუფლება დადებით ნაბიჯებს დგამს, თუმცა, სამწუხაროდ, საზოგადოებამდე ამის სწორად მიტანას ვერ ახერხებს. მსგავს ვითარებაში, უპრიანი იქნება, ქართულმა მხარემ აბსოლუტურად გადაჭრით უთხრას რუსეთს, რომ თუ ნატო-ზე უარის თქმით კონფლიქტური რეგიონების დაბრუნების გარანტიას მიიღებს, მაშინ ამ დათმობაზე წავა. სხვათა შორის, სწორედ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ გახდება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი.**

კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი საკმაოდ დადებითი პიროვნებაა, თუმცა მას პოლიტიკური გამოცდილება და დასავლურ თუ რუსულ პოლიტიკურ წრეებში პირადი ურთიერთობები არ აქვს. ამ მხრივ, საკმაოდ დიდი პლუსის მქონე საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძეა, რომელიც 2011 წლის 26 მაისმა, როგორც პოლიტიკოსი, რადიკალურად შეცვალა.

— **თუმცა ნინო ბურჯანაძის მიმართ საზოგადოებასაც არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდა. თუნდაც 26 მაისთან დაკავშირებით, ოპონენტები პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს შვილთან დიალოგს ახსენებენ, სადაც იგი საუბრობს, რომ აქციაზე რამდენიმე ადამიანის დაღუპვა კარგი ფაქტი იქნებოდა.**

— ნინო ბურჯანაძის მიმართ უამრავი კითხვა მეც მქონდა და ხშირად მისი პოლიტიკური ქმედებები ნეგატიურადაც შემიფასებია, მაგრამ მოგვწონს თუ არა, იგი პოლიტიკურ ასპარეზზე დღეს ყველაზე მძიმეწონიანი ფიგურაა. სხვათა შორის, ბოლო ხუთი წელი ოპოზიციაში რომ არ ყოფილიყო, ასეთ მნიშვნელოვან ფიგურად ვერ ჩამოყალიბდებოდა. რაც შეეხება 26 მაისს, ნაციონალური მოძრაობის გარდა, რუსთაველის გამზირზე დატრიალებულ ტრაგედიაში ნინო ბურჯანაძე კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერებმაც დაადანაშაულეს და აღნიშნეს, აქცია არასანქცირებული იყოო. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მსგავსი ტერმინი ნამდვილად არ მომისმენია.

**კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ნინო ბურჯანაძეს მოვლენების მსგავსი განვითარება წინასწარ დაგეგმილი, ასე გიპასუხებთ: რა მოხდა, თუ ანზორ ბიწაძემ, მაქსიმალისტმა ახალგაზრდა კაცმა დედასთან აქციებზე საუბრისას განაცხადა, სულ რომ სისხლი დაიღვაროს, ბრძოლა აუცილებლად უნდა გავაგრძელოთო?!**

— **მოხდა ის, რომ ეს ჩვეულებრივ ოჯახურ საუბრად ბევრმა ვერ აღიქვა, პირიქით, გაჩნდა აზრი, რომ ნინო ბურჯანაძე საქართველოში დესტაბილიზაციასა და „გრუს“ შემოყვანას გეგმავდა.**

— ჯერ კიდევ დასადგენია ჩანაწერი იყო თუ არა ფალსიფიცირებული, თანაც ნინო ბურჯანაძისა და მისი შვილის ფიქრებზე გაცილებით მნიშვნელოვან საკითხად მიხეილ სააკაშვილის ვოიაჟები მიმაჩნია, რომელიც მეგობარი ქალების სიამოვნებაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათი ათასობით ფულს ხარჯავდა. ფაქტია, რომ ნინო ბურჯანაძე რუსეთთან კონფრონტაციის აბსოლუტურად წინააღმდეგი იყო, რადგან მას, როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს, ყოველთვის ესმოდა, რომ „ჟანგიანი ტანკების“ მქონე რუსეთთან ომი არ შეიძლება. სააკაშვილი კი არა, მოსკოვთან შეიარაღებული ბრძოლა ნაპოლეონმა და ჰიტლერმა წააგო. სხვათა შორის, როცა საპრეზიდენტო არჩევნებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ნაძალადევის შუალედური არჩევნები ხელისუფლებისთვის გამაფრთხილებელი სიგნალი იყო. მეტიც, ნაციონალების გამოკლებით, ოპოზიციური კანდიდატები რომ გაერთიანებულიყვნენ, თამარ კორძაიას დამარცხება სავსებით შესაძლებელი გახდებოდა. ახლა საპრეზიდენტო არჩევნები აბსოლუტურად პერსონიფიცირებული იქნება და თუ საზოგადოება კოალიციის კანდიდატს მხარს არ დაუჭერს, მმართველ გუნდს დაანახებს, რომ ყველაფერი ისე სულაც არ არის, როგორც ხელისუფლებას ჰგონია. ფაქტია, ხალხში უკმაყოფილება უკვე გაჩნდა მმართველი გუნდის იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ხელისუფლებაში თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ და მოქალაქეებისთვის ვეღარ იცლიან.

— **ხელისუფლება საკუთარი დაპირებების შესრულებისთვისაც ვეღარ იცლის. არჩევნებამდე მმართველი გუნდის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ პირველ რიგში, საარჩევნო კოდექსი გამოსწორდებოდა. რატომ ვერ მოახერხა პარლამენტში შექმნილმა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯების გადადგმა თუ ხელისუფლებას ძველი საარჩევნო კოდექსით ჩატარებული არჩევნები აწყობს?**

— პარლამენტს საარჩევნო კოდექსში ცვლილებები სწრაფი ტემპით რომ განეხორციელებინა, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მაშინათვე აყვირდებოდნენ, კოალიცია ცვლილებებს საპრეზიდენტო არჩევნებს საგანგებოდ არგებსო. დავით უსუფაშვილმა საკმაოდ გასაგებად აღნიშნა, ნაჩქარევად ცვლილებების მიღებას არ ვაპირებთ, შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით სერიოზულ მუშაობას დაიწყებსო, ასე რომ, უნდა დაველოდოთ. ისიც უნდა ითქვას, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხორციელებას მშვიდი პოლიტიკური გარემო სჭირდება, რისი საშუალებაც რვა თვის განმავლობაში ხელისუფლებას არ მისცემია. ნაციონალებმა იმდენად დიდი უბედურება დამართეს ქვეყანას, რომ ამ შეცდომების გამოსწორება ერთბაშად, უბრალოდ, წარმოუდგენელია. სხვათა შორის, საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ერთი ფრაზა — პლასტელინის კაცი ვარ, სადაც დამდებენ, იქ ვიქნებიო, დღემდე გულში ხინჯად დამრჩა.

— **რატომ დაასახელა ბიძინა ივანიშვილმა საპრეზიდენტო კანდიდატად „პლასტელინის კაცი“, ამ გადაწყვეტილებით საპრეზიდენტო პოსტის დაკნინება და პრემიერის ფიგურის წინ წამოწევა მოხდა?**

— მეც ვერ ამიხსნია, რატომ დასახელდა გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად, თუმცა, დიახ, არაკეთილისმსურველები სწორედ იმაზე საუბრობენ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ამ გადაწყვეტილებით საკუთარი ფიგურის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

**პირადად, მე, არ ვფიქრობ, რომ მომავალი პრეზიდენტი უფუნქციო იქნება, პირიქით, როგორც გითხარით, საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა უნდა გახდეს, მაგრამ გიორგი მარგველაშვილი შესაბამისი გამოცდილების არქონისა და საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკურ ელიტაში პირადი კონტაქტების არარსებობის გამო, დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ გაართმევს. შესაძლოა, მან ეს რამდენიმე წლის შემდეგ მოახერხოს, თუმცა ჩვენთვის სწორედ ეს ეტაპია ყველაზე მნიშვნელოვანი.**

ასე რომ, მსოფლიო პოლიტიკის კულუარებში მყოფი პოლიტიკოსების ნდობის მოპოვებას წლები სჭირდება.

## ვერსიანიუსი

### სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 7 ათასამდე პროექტი დაფინანსდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით 7 ათასამდე პროექტი დაფინანსდება, რომლის ჯამური ღირებულებაც 49 993 821 ლარია. ამის შესახებ მედიასთან შეხვედრისას, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

რაც შეეხება რეგიონებს, პროექტებისა და თანხების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა: აჭარა — დაფინანსდება 630-მდე პროექტი — ჯამური ღირებულება 4 890 032 ლარი; გურია — 580-ზე მეტი პროექტი — ჯამური ღირებულება 2 859 401 ლარი; იმერეთი — 1490-მდე პროექტი — ჯამური ღირებულება 8 692 472 ლარი; კახეთი — 550-ზე მეტი პროექტი — ჯამური ღირებულება 6 631 499 ლარი; მცხეთა-მთიანეთი — 530-მდე პროექტი — ჯამური ღირებულება 1 074 137 ლარი; ქვემო ქართლი — 445 პროექტი — ჯამური ღირებულება 6 876 958 ლარი; რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი — 320-ზე მეტი პროექტი — ჯამური ღირებულება 1 488 992 ლარი; სამცხე-ჯავახეთი — 430-ზე მეტი პროექტი — ჯამური ღირებულება 3 605 112 ლარი; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 1140-ზე მეტი პროექტი — ჯამური ღირებულება 7 179 429 ლარი და შიდა ქართლი — 490-ზე მეტი პროექტი — ჯამური ღირებულება 4 863 305 ლარი.

ნარმანიას განცხადებით, საქართველოს 3500-მდე სოფელში სოფლის კრებები ჩატარდა, რომელზეც მოსახლეობამ თავად გადაწყვიტა, თუ რა პრობლემის მოგვარება იყო პრიორიტეტული მათი სოფლისთვის. აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს არასამთავრობო და რეგიონული მედიის წარმომადგენლები უწევდნენ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ძირითადად, დაფინანსდება სასმელი წყლის, შიდა სასოფლო გზების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, გარე განათების, სარიტუალო სახლების, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა პროექტები.

*„ნიუსპრესი“*

### „საფოსტო კავშირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება რუსეთის მორიგი არაკანონიერი ქმედებაა“



რუსეთსა და აფხაზეთს შორის საფოსტო კავშირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება რუსეთის მორიგი არაკანონიერი ქმედებაა. განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ. მისი თქმით, რუსეთის მხრიდან მცდელობა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის მიენიჭებინათ საფოსტო კოდები, მუდმივად დგას საგარეო საქმეთა სამინისტროს დღის წესრიგში, პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფარგლებში.

კახეთის გუბერნატორის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის 24 მაისს, სოხუმში, რუსეთის ფოსტამ და კომპანია „აბხაზსვიაზმა“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „საფოსტო კავშირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ იმას, რომ რუსეთის ფოსტა უზრუნველყოფს საფოსტო კავშირებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონიდან რუსეთის ტერიტორიაზე, არამედ რუსეთის გავლით სხვა ქვეყნებშიც. ჭიაბერაშვილმა ხელისუფლებას მოუწოდა, აფხაზეთის მოქცევა რუსეთის საფოსტო ინდექსის ქვეშ არ დაუშვას.

*„პირველი“*

სიახლე

# „$m^2$" 14-მილიონიანი სესხით, თბილისის ცენტრში, 3 ახალ პროექტს განახორციელებს

„$m^2$ უძრავი ქონება" ახალი, მრავალბინიანი და ენერგოეფექტური საცხოვრებელი სახლების წარმატებულ და ხარისხიან მშენებლობას განაგრძობს. ამ მხრივ, კომპანიას სიახლე აქვს, რომელიც შეიძლება ითქვას, ახალ-ახალი და საინტერესო პროექტების სწრაფ ტემპებში განხორციელების გარანტიას იძლევა. საქმე ეხება მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) მოლაპარაკებებს, რომელიც უკვე სასურველი შედეგით დასრულდა — „$m^2$ უძრავი ქონება" 14 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის განახლებად, გრძელვადიან საკრედიტო რესურსს მიიღებს, სამი ახალი პროექტის დასაფინანსებლად. ამ თანხიდან დაახლოებით 4 მლნ აშშ დოლარი გამოიყოფა IFC-კანადის კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების პროგრამიდან, რომელიც ხელს უწყობს კერძო სექტორში სუფთა ენერგიის გამოყენებაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსებას, ენერგიის, წყლის და მასალების ეფექტურ გამოყენებას და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესუსტებას. კანადის გარემოს დაცვის მინისტრის, პიტერ კენტის განმარტებით, **„ეს არის მცდელობა, კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე ერთობლივი ძალისხმევით, მოხდეს ზემოქმედება და მსოფლიოს მასშტაბით გარემოს დაცვის გაუმჯობესება",** — აცხადებს კენტი.

„m2"-ის წარმომადგენლები კი იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ 14 მილიონდოლარიანი ფინანსური მხარდაჭერა, ხელს შეუწყობს საქართველოში ურბანული ინფრასტრუქტურის გაფართოებას მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი და ენერგოეფექტური მრავალბინიანი სახლების აშენების გზით. პროექტი შექმნის სამუშაო ადგილებს სამშენებლო სექტორში და გაზრდის საბინაო-კომუნალური მეურნეობების საქმიანობას.

**ირაკლი ბურდილაძე**, **„$m^2$ უძრავი ქონების" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სააქციო საზოგადოება „$m^2$ უძრავმა ქონებამ" წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან. შედეგად, მივიღეთ 14 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო რესურსი, რომელიც დაიხარჯება სამი ახალი პროექტის დაფინანსებისთვის. ამ პროექტების ფარგლებში ჩვენ ავაშენებთ თანამედროვე სტანდარტების მწვანე სტატუსის მქონე შენობებს. მწვანე სტატუსი გულისხმობს ენერგოეფექტურ საცხოვრებელ ბინებს, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას, კომუნალურ გადასახადებში, მინიმუმ 20% დაზოგონ. საფინანსო ინსტიტუტებთან წარმატებული მუშაობით კომპანია „$m^2$ უძრავი ქონება" მიზნად ისახავს, მომხმარებელს შესთავაზოს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და თანამედროვე საცხოვრებელი ბინები. დაფინანსება კომპანიას დაეხმარება თბილისის ცენტრში სამი ახალი პროექტის განხორციელებასა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებაში".**




IFC და კანადის მთავრობა საქართველოში ენერგოეფექტური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს

საქართველოში ენერგოეფექტური, „მწვანე სტატუსის" მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მნიშვნელობაზე საუბრობს IFC-ის რეგიონული მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში, **თომას ლუბეკი: „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები იქნება თანამედროვე, ხელმისაწვდომი და ენერგოეფექტური პროექტები. საქართველოში მრავალბინიანი სახლების უმრავლესობა გასული საუკუნის 60-იან 90-იან წლებშია აშენებული, უკვე მოძველებულია და საჭიროა მათი განახლება. ასევე, ახალი სახლების მშენებლობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამშენებლო სექტორის განვითარებაში – გაიზრდება მოთხოვნა მუშახელზე, სამშენებლო მასალებზე... ეს არის IFC-ის პირველი ინვესტიცია საქართველოში ბინათმშენებლობის განვითარებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ახალი, მაღალხარისხიანი სახლების მშენებლობას და შედეგად, ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას. ამ ინვესტიციის მეშვეობით, ჩვენ ასევე ვუჭერთ მხარს რესურსების ეფექტურ გამოყენებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სექტორის მიმართ ინვესტორთა ნდობის ამაღლებას. ამგვარი სახლები შეღავათს მისცემს მოსახლეობას კომუნალური გადასახადების კუთხით. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქმიანობა, სამომავლოდ, ასევე მიმართული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობისკენ. ვცდილობთ, საქართველოს შევუწყოთ ხელი და დავეხმაროთ, მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება.**

**გვესმის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნისთვის და ამ სექტორის მონაწილეებს გარკვეულ დახმარებას ვუწევთ".**

ამჟერად, IFC 14-მილიონიან სესხს გამოუყოფს „$m^2$ უძრავ ქონებას" — კომპანიას, რომელიც 2006 წელს დაარსდა და უკვე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე. კომპანიის ძირითადი ბიზნესმიმართულებებია: უძრავი ქონების განვითარება, დეველოპმენტი, ქონების (საკუთრების) მართვა და მენეჯმენტი, პროექტების მართვა და საბროკერო მომსახურება. „$m^2$"-მა წარმატებით განახორციელა სამშენებლო პროექტი ჩუბინაშვილის ქუჩაზე. მეორე, ანალოგიური სამშენებლო პროექტი — „$m^2$ იპოდრომზე", 2014 წელს დასრულდება.

სპორტი

# რატომ არ მივიდა კალაძის გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე ზვიად სიჭინავა?!



## ხელისუფლება რიგგარეშე არჩევნებსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ლევან კობიაშვილის არჩევას გეგმავს

ეკა სეხნიაშვილი

**მართალია, ზვიად სიჭინავა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტს, ოფიციალურად, 2015 წლამდე იკავებს, მაგრამ სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა ერთხელ უკვე მოუწოდა, ნებით დაეტოვებინა თანამდებობა. სიჭინავამ ეს მოწოდება „პირველ გაფრთხილებად" ჩათვალა და ცივი უარიც იუმორით სტკიცა — „გულში ჩავიხედე, ვერაფერი დავინახე და არსად წასვლას არ ვაპირებ"... თუმცა, როგორც კონფიდენციალური წყარო გვიმხელს, კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩის შემდეგ ეს თემა ისევ გააქტიურდა — რამდენიმე გავლენიან ფეხბურთელს კონსპირაციულად მოულაპარაკებიათ, რომ სულ მალე სიჭინავას პოსტიდან წასვლის კამპანია დაიწყება, მის პოსტს კი კახი კალაძის „მარჯვენა ხელი" ლევან კობიაშვილი დაიკავებს.**

სხვათა შორის, კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩისას მისი მეგობრების გუნდში გიორგი ნემსაძის (რომელმაც საკრებულოში ნაციონალებიდან „ოცნების" შემადგენლობაში გადაინაცვლა), მიშა ყაველაშვილის, გიორგი დემეტრაძისა და სხვათა გამოჩენამ დაადასტურა, რომ კალაძის მეგობრები ფეხბურთზე კონტროლს ეცდებიან. საქართველოში ხომ ფეხბურთიც პოლიტიკაა. კალაძის ფავორიტი კი მისი მეგობარი კობიაშვილია და არა – არველაძეები, რომლებიც არსებული მოცემულობით, მაინც სიჭინავას „ძირითადში" მოიაზრებიან. სიჭინავას „ჩაჩოჩებაზე" ხმები კიდევ უფრო გაამყარა იმ ფაქტმა, რომ კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩის ორგანიზებაში სიჭინავა არც ისე აქტიურად იყო ჩართული, მეტიც, თითქმის არ ფიგურირებდა და გავრცელებული ინფორმაციით, საერთოდ არ ყოფილა თამაშის შემდგომ გამართულ წვეულებაზე.

აქვე გაგახსენებთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი შეფი ზვიად სიჭინავა ფედერაციაში ჩავლილი დაძაბულობის ფონზე მივიდა, როდესაც მაშინდელი ხელისუფლების ორი ფრთა ერთ „ბურთს" ვერ იყოფდა. ნოდარ ახალკაცისა და გიორგი ნემსაძის პაექრობამ „ნაცებში" ისეთი არეულობა გამოიწვია, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი ბოკერია, უგულავა და კიდევ რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი, პოსტებიდან წასვლის შესახებ განცხადებებით ეახლნენ სააკაშვილს კანცელარიაში, იმ შემთხვევაში, თუ გიორგი ნემსაძე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე დარჩებოდა, ამიტომაც ნემსაძეს 2007-ში მოგებულ თანამდებობაზე, ფაქტობრივად, უარი ნებით ათქმევინეს. გაშლილი სუფრა მურთაზ შელიას რესტორან „მონოპოლში" დაიშალა და დაპატიჟებული ნაციონალების დიდი ნაწილი მაშინ გაჩუმდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ახალკაცს საქმე არცთუ გამჭვირვალედ ჰქონდა, პროკურატურამ ძიება დაიწყო და სერიოზული ფაქტებიც აღმოაჩინა.

ფეხბურთის ფედერაცია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საკმაოდ მსუყედ ფინანსდება. შესაბამისად, მატერიალური ინტერესი მის მიმართ გავლენიანი პირების მხრიდან საკმაოდ მაღალია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 2005-დან 2009 წლამდე 56 მილიონი ლარი დაიხარჯა და 10 მილიონ ლარამდე დავალიანება დაგროვდა. ასეთი იყო აუდიტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის შენობა 2-მილიონიანი კრედიტის სანაცვლოდ, ერთ-ერთ ბანკში იყო ჩადებული. როგორც თავად ფედერაციაში აცხადებდნენ, რამდენიმემილიონიანი ვალი ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის არასწორი მენეჯმენტის შედეგად დაგროვდა. სიჭინავას განცხადებით, ფედერაციას ჰქონდა როგორც სახელფასო, ისე ბანკების მიმართ დავალიანება. სიჭინავას ვადა 2015-ში ეწურება, 35 წლის ლევან კობიაშვილი კი, როგორც თავად საკუთარ სოციალურ ქსელში განაცხადა, აუცილებლად დაბრუნდება ფეხბურთში. მას კონკურენტებიც ჰყავს: ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებელი მიხეილ ყაველაშვილი და კიდევ რამდენიმე პირი. კობიაშვილი, როგორც ამბობენ, პრივატულ საუბრებში არ მალავს, რომ სურს ფეხბურთში დარჩეს და ფედერაციის თავკაცის რიგგარეშე არჩევნებშიც კი აპირებს მონაწილეობას. ფეხბურთელების ნაწილს კი ამ პოსტზე დავით უგრელიძის ნახვა სურს, რომელიც განსაკუთრებით აპროტესტებდა ვითარებას, ფეხბურთის ფედერაციაში სამართლიანი არჩევნების აუცილებლობაზე საუბრობდა და სიჭინავას გადადგომისკენ მოუწოდებდა. გაჩნდა ვერსიაც, რომ ფედერაციაში ახალკაცისდროინდელი დანატოვარი ფინანსური პრობლემები ისევ ძალაში იყო. როგორც ამბობენ, ფედერაციის ფინანსური შემოწმების სურვილი რამდენიმე მაკონტროლებელმა გამოთქვა. რას გადაწყვეტს სპორტის მინისტრი, ჯერ უცნობია, რადგან სიჭინავას უკან ქართული ფეხბურთის სამყაროს გარკვეული ნაწილი დგას და, როგორც „ვერსიამ" გაარკვია, რიგგარეშე არჩევნებს თავად ფეხბურთის ფედერაციაში არ ვარაუდობენ. რამდენიმე დეტალის დაზუსტება ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსს, **ლალი გელენავას** ვთხოვეთ:

— **ბატონი ზვიად სიჭინავა რატომ არ იმყოფებოდა კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩის ბანკეტზე?**

— მიპატიჟებული იყო, თუმცა, როგორც ვიცი, ვერ მივიდა. გამოსამშვიდობებელ მატჩზე იყო, ვიპ-ლოჟაში იჯდა.

—**საუბარია იმაზე, რომ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე, რიგგარეშე არჩევნების საშუალებით, ლევან კობიაშვილის კანდიდატურა განიხილება...**

— ვერაფერს მოგახსენებთ. შესაძლოა, ასეთი საუბრები არის, თუმცა ჩვენთვის არაფერია ცნობილი და ჩვეულებრივ რეჟიმში ვაგრძელებთ მუშაობას.

# დავით ებრალიძეს გადადგომა თვენახევრის წინ ჰქონდა დაგეგმილი



## რას ნიშნავს დავების საბჭოს რეფორმა და მიზეზი, რის გამოც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ პოსტი დატოვა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, დავით ებრალიძემ თანამდებობა ორიგინალურად დატოვა — გადაწყვეტილება „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე სტატუსად გამოაქვეყნა, გადადგომის მიზეზი კი ასე ახსნა, იმის გამო, რომ სამინისტროში დავების საბჭოს რეფორმა იგეგმებოდა და ამ პროცესში თვითონაც აქტიურად იყო ჩართული, მისი აზრი არავინ გაითვალისწინა. სხვათა შორის, დავების საბჭოს რეფორმირება იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც დავით ებრალიძე ნოდარ ხადურის მოადგილეობას დათანხმდა. ვინ და რატომ არ გაითვალისწინა ყოფილი ენერგოომბუდსმენის მოსაზრებები, რა გახდა თანამდებობის დატოვების მიზეზი, ამაზე დავით ებრალიძე დუმს, „ვერსიას" კი მოკლედ და კონკრეტულად უპასუხა, რომ ამ ეტაპზე, დეტალებზე საუბარი არ სურს.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო, სამინისტროსთან არსებული, საგადასახადო დავების განმხილველი ოფიციალური ორგანოა. საბჭოს ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური თავმჯდომარეობს, ხოლო შემადგენლობაში აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები შედიან, მათ შორის, ნოდარ ხადური — ფინანსთა მინისტრი, დავების საბჭოს თავმჯდომარე, დავით ებრალიძე — ფინანსთა მინისტრის მოადგილე, დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (ეს ადგილი ახლა ვაკანტურია), მამუკა ბარათაშვილი — ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, გიორგი ბარათაშვილი — ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, დავით ქევხიშვილი — ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის უფროსი, ზვიად კორძაია — ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი, გაიოზ თალაკვაძე — საქართველოს მთავრობის კანცელარიის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, ზაურ აბაშვილი — იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის აქტების ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, ირაკლი ლიჩელი — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კახა კოხრეიძე — მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი და გიორგი აბაშიშვილი — ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი.

დავით ებრალიძის გადადგომასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: **„სამწუხაროდ, დავით ებრალიძემ, სამუშაო პროცესში გამოთქმული ალტერნატიული მოსაზრებები, მისი პრინციპული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ ჩათვალა და თანამდებობიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური დაეთანხმა და კანონმდებლობის შესაბამისად, მისი განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ, პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს გადაუგზავნა.**

**დავით ებრალიძე, როგორც მინისტრის მოადგილე და ამ უწყების საპარლამენტო მდივანი, საგადასახადო პოლიტიკას კურირებდა და დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ რეფორმების მიმდინარეობა ერთ რომელიმე, თუნდაც მაღალი რანგის თანამდებობის პირზე დამოკიდებული არ არის. რეფორმები საქართველოს მთავრობის საქმიანობის ძირითადი კურსია და სამინისტროში ისევე, როგორც ყველა სხვა მიმართულებით, ეს პროცესი გაგრძელდება, რაც საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომ ლიბერალიზაციასა და დახვეწას, ასევე დავების განხილვის საბჭოს ეფექტურ მუშაობას ითვალისწინებს. საბოლოოდ, ეს პროცესი საინვესტიციო გარემოს სრულყოფასა და გადამხდელთა უფლებების დაცვას შეუწყობს ხელს".**

რა მოხდა სინამდვილეში და კონკრეტულად, რა პრინციპების დანერგვას ცდილობდა ფინანსთა მინისტრის მოადგილე, დავით ებრალიძე, დავების საბჭოს რეფორმირების პროცესში? „ვერსია" **დავების საბჭოს ერთ-ერთ წევრს, მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტს, კახა კოხრეიძეს** დაუკავშირდა, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეთა სავაჭრო პალატასაც ხელმძღვანელობს:

— ზუსტად არ ვიცი, რატომ გადადგა დავით ებრალიძე, რადგან უშუალოდ, საბჭოს სხდომაზე მას არაფერი უთქვამს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მიმართულებას, რომლის პრეზენტაციაც ფინანსთა მინისტრის თანხმობით შედგა. ებრალიძის ინიციატივა იყო პრეცედენტულობის საკითხი, რომლის დანერგვასაც საბჭო ისედაც ცდილობს, ასევე საბჭოს მიერ მიღებული ყველა საკითხის გასაჯაროებაც ებრალიძის ინიციატივაა. გასაჯაროება კარგი იდეაა, რადგან ასე მეწარმეებს საშუალება ექნებათ, ამ გადაწყვეტილებებს გაეცნონ. სხვა პრინციპები, რომლის დანერგვაც საბჭოში ებრალიძეს სურდა, არ გამიგია. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოს რეფორმირების პროცესს, რა თქმა უნდა, ამ მხრივ, სამუშაო მართლაც ჩასატარებელია, მაგრამ რეფორმაზე ყველა ფიქრობს, მათ შორის, ფინანსთა მინისტრი, საბჭოს წევრები და სხვადასხვა ასოციაციების წარმომადგენლები. რეფორმა აუცილებელია იმიტომ, რომ თუკი დავების საბჭო დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბდება, მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ), უფრო ეფექტური იქნება. რაც შეეხება პრეცედენტულობას, ამის ერთბაშად დანერგვა ძნელია, ეს საკმაოდ რთული პროცედურაა...

**— კახა, დავების საბჭოს პრეცედენტულობა რას ნიშნავს, პრეცედენტული სამართალი უნდა დანერგოთ?**

— დაახლოებით, ეს იგივე ტიპის რეგულირების ჩამოყალიბებას ნიშნავს, რასაც დიდი ბრიტანეთი სამართალწარმოების პროცესში იყენებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, განსხვავება ისაა, რომ დავების საბჭოში პრეცედენტულობის დანერგვა, ზოგადად, საქართველოს მართლმსაჯულებაზე არ გავრცელდება. პრეცედენტულობა დავების საბჭოში იმას გულისხმობს, რომ შერჩევითი სამართალი არ უნდა არსებობდეს, რაც წლების განმავლობაში არსებობდა, როდესაც სხვადასხვა კომპანიის მიმართ, სხვადასხვა წესებით მოქმედებდნენ. ეს სწორი მიდგომა არ იყო და კანონის წინაშე, თანასწორობის პრინციპსაც არღვევდნენ.

**— თქვენ მცირე და საშუალო მეწარმეებს წარმოადგენთ ამ საბჭოში, მაგრამ რამდენად ეფექტურია მოქმედი დავების საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ფინანსთა მინისტრი, ხოლო საბჭოს შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები არიან?**

— გეთანხმებით, კერძო სექტორს წარმოვადგენ და დავების საბჭოში უმცირესობაში ვარ, მაგრამ აქამდე, კერძო სექტორის არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა საბჭოს წევრი. მართალია, დავების საბჭოში სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობა მინისტრის წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მაინც უმცირესობაში ვარ. ერთი მხრივ, დავების საბჭოს გადაწყვეტილებების 61% დამაკმაყოფილებელია, რაც აშკარად კარგი მაჩვენებელია, მაგრამ როგორც კერძო სექტორის წარმომადგენელს, სურვილი მაქვს, ეს მაჩვენებელი გაიზარდოს. თუ მეწარმე დავების საბჭოში საკუთარი უფლებების დაცვას მოახერხებს, კერძო სექტორისთვის მისასალმებელი ფაქტი იქნება. მიუხედავად ამისა, მეწარმეს, დავების საბჭოს გარდა, საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოშიც შეუძლია. იმაშიც გეთანხმებით, რომ დავების საბჭოში გაცილებით მეტი წარმომადგენელია სახელმწიფო უწყებებიდან და ამაზე დიდი ხნის მანძილზე ვმსჯელობთ.

**კარგი იქნება, თუკი დავების საბჭო ფინანსთა სამინისტროს გამოეყოფა და დამოუკიდებელ სსიპ-ად ჩამოყალიბდება, სადაც კერძო სექტორი, აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები და არასამთავრობო სექტორი ჩაერთვება. თუკი მეწარმე დავას სამინისტროს წიაღშივე გადაწყვეტს, ეს უდავოდ კარგია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში და თუნდაც ინვესტორებისთვის კარგი იქნება, თუ დავების საბჭო დამოუკიდებელი ორგანო იქნება, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ქოლგას გამოეყოფა.**

**— უკაცრავად, მაგრამ დავით ებრალიძეს უთანხმოება ხომ არ ჰქონია ნოდარ ხადურთან?**

— არა, ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. ერთადერთი, რაც არ მომწონდა, ის იყო, რომ ბოლო თვენახევრის განმავლობაში, დავების საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა. მაინტერესებდა, რა ხდებოდა, მაგრამ კონკრეტულ ინფორმაციას ვერ ვიღებდი, როგორც ჩანს, დავით ებრალიძემ გადადგომის გადაწყვეტილება თვენახევრის წინ მიიღო და, შესაბამისად, დავების საბჭოში აქტიურად აღარ ერთვებოდა.

***„ვერსია" ფინანსთა სამინისტროს ბორდ-ის წევრს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ემზარ ჯგერენაიასაც ესაუბრა, რომელმაც განაცხადა:***

— რა მოხდა, ვერ ვხვდები, რადგან დავით ებრალიძე ბორდ-ის ბოლო სხდომას ესწრებოდა, სადაც საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები წარმოადგინა და მხარი ერთხმად დაუჭირეს. რაც შეეხება დავების განხილვის საბჭოს, ეს მთლიანი რეფორმის ნაწილია, რომელიც მზადდება. როდესაც მომზადდება, ერთდროულად განიხილავს როგორც მთავრობა, ასევე ყველა დაინტერესებული პირი. ჯერჯერობით, სამუშაო პროცესი მიმდინარეობს და იმედი მაქვს, საბოლოოდ, სერიოზული დოკუმენტი მომზადდება.

**— იმის თქმა გინდათ, რომ დავების საბჭოს რეფორმა ერთ, კონკრეტულ ადამიანზე არ არის დამოკიდებული?**

**— არა, კონკრეტული ადამიანი არაფერს წყვეტს. მინისტრმა ბორდ-ის წევრებად სპეციალისტები მიიწვია, ვისაც ეკონომიკასთან კავშირი აქვს და სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას, მათ აზრს იზიარებენ. გარდა ამისა, ეს პროცესი ღიაა, ყველა თავის წვლილს დებს, რათა ერთიანი და ეფექტური ფისკალური სივრცე შეიქმნას.**

**— დავების საბჭოს რეფორმა რა მიმართულებით იგეგმება, ფინანსთა სამინისტროს უნდა გამოეყოს?**

— არა, აქ საუბარია გარკვეული პროცედურული საკითხების სრულყოფაზე, რომ საბჭო უფრო მოქნილი იყოს, რომელიც გაცილებით სწრაფად განიხილავს და დაიცავს ბიზნესის ინტერესებს. დავების საბჭო ფინანსთა სამინისტროს არ უნდა გამოეყოს...

**— რატომ, საბჭოს შემადგენლობაში ხომ, ძირითადად, სამინისტროების წარმომადგენლები არიან, რომელსაც ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობს და ეს გარკვეულ უხერხულობას არ უქმნის მეწარმეებს?**

— საუბარია იმაზე, რომ აპრიორი, ფინანსთა სამინისტრო მეწარმეების მიმართ ცუდად განწყობილი არ არის. პირიქით, სამინისტრო პარტნიორულ ურთიერთობაშია კერძო სექტორთან. რაც მთავარია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დავების საბჭო მეწარმისთვის ბოლო ინსტანცია არ არის, მას კიდევ რჩება სასამართლო. დავების საბჭო ერთგვარი შუალედური რგოლია, რომელსაც ნაწილობრივ, არბიტრაჟის ფუნქციაც აქვს, სადაც სამინისტრო და მეწარმე, როგორც პარტნიორები, მოლაპარაკებას შეძლებენ. ბიზნესი გადასახადის გადამხდელია, რომლის ინტერესების დაზიანება დავების საბჭოს არ აწყობს, სამინისტრო ცდილობს, მოქნილი საგადასახადო გარემო შექმნას და ბიზნესის პარტნიორად იქცეს.

ვერსიანიუსი

## 12 ათასი მოქალაქე პარლამენტს მიმართავს



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში 17 მაისის მოვლენებზე რეაგირების მიზნით, მოქალაქეთა პეტიცია შევიდა, რომელსაც 12 ათასი ადამიანი აწერს ხელს. როგორც ჟურნალისტებს კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ განუცხადა, აღნიშნული პეტიცია პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს გადაეგზავნა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში კომიტეტის სხდომა ჩატარდება, სადაც ამ პეტიციის შესახებ ინფორმაცია იქნება წარდგენილი. ამას გარდა, კომიტეტში ყოფილი პოლიტპატიმრების მიერ მომზადებული რეზოლუცია შევიდა, რომლებიც სისტემის გასამართლებას ითხოვენ. ბესელიას განცხადებით, წინა ხელისუფლების საქმიანობის შესწავლისა და მასზე მკაცრი რეაგირების მიზნით, ყოფილი პოლიტპატიმრები პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ. კანონმდებლის ცნობით, აღნიშნულ საკითხზე სწორედ კომიტეტის სხდომაზე იმსჯელებენ, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება.

*„პირველი რადიო"*

# სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის საკითხით პარლამენტი ინტერესდება

დავით დევიძე
593-219-042

**სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაყაჩაღებულ ცნობილ სახალხო მკურნალს დომენტი გაგნიძეს უკვე რამდენიმე თვეა, სასამართლომ ყველა ბრალდება მოუხსნა, თუმცა სამართლიანობის საბოლოო აღსადგენად, ეს საკმარისი არ არის. საქმე ისაა, რომ დომენტი გაგნიძე დღემდე ამაოდ ითხოვს წართმეული ქონების დაბრუნებას, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, პროცესი ჭიანურდება. არადა, ქონების დაბრუნება მხოლოდ ნაწილობრივ თუ აუნაზღაურებს სახალხო მკურნალს იმ დანაკლისს, რაც გარკვეული სამედიცინო წრეების დაკვეთით მიაყენეს.**



„ვერსია“ არაერთხელ წერდა, რომ ყველაზე დიდი დარტყმა სახალხო მკურნალს არა ქონების წართმევით, არამედ რეპუტაციის უსაფუძვლო შელახვით მიადგა. მოკლედ, ნაცხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ეს კაცი რომ მოეშორებინა და თავისი ფავორიტი ფარმაკომპანიებისთვის მშვიდად მუშაობის საშუალება მიეცა. თუმცა, შეიძლება, დომენტი გაგნიძისთვის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალოს, რადგან, როგორც ჩანს, სახალხო მკურნალის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟით პარლამენტი ინტერესდება. „ვერსიასთან“ საუბარში პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, რომ დომენტი გაგნიძის გარშემო შექმნილი ვითარება და სიმართლის დადგენა ძალიან აინტერესებს.

**დიმიტი ხუნდაძე:** „შემომიტანეს მასალები დომენტი გაგნიძის საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც აუცილებლად გავეცნობი. მართალია, ეს უფრო ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. პარლამენტის კომიტეტი საკანონმდებლო ორგანოა და ეს საკითხი საკომიტეტო თემა არ არის, მაგრამ მე არ მითქვამს უარი და მასალები პირველ თაროზე შემოვდე. როგორც კი ამის დრო გამომიჩნდება, აუცილებლად გავეცნობი, რადგან მეც ძალიან მაინტერესებს.

**— ისე, თქვენ, როგორც ექიმი, სახალხო მედიცინაზე რას ფიქრობთ?**

— კონკრეტულ შემთხვევაში ძნელია შეფასება, რადგან ჯერ მასალებს არ გავცნობილვარ, მაგრამ, ზოგადად, ხალხური მედიცინა წარმატებული დარგია. ძალიან ბევრი რამ არის დროში გამოცდილიც და ეფექტურიც.

**— წინა ხელისუფლების დროს ამ კაცს სწორედ ეფექტურობის გამო ებრძოდნენ.**

— წინა ხელისუფლების დროს ყველაფერი შეიძლებოდა. მათთვის ყველაფერი დასაშვები იყო. მე უნდა გავეცნო, რატომ მოხდა ბატონი დომენტის შემთხვევაში ის, რაც მოხდა. სხვანაირად შეფასებას ვერ გავაკეთებ, ჭორაობა გამომივა, ამიტომ მართალია, რაღაც მასალები მაქვს, მაგრამ კომიტეტის სახელზე უნდა შემოიტანოს წერილი, განვიხილავთ და შესაბამის ორგანოებს გადავუგზავნით. გადამისამართებას გავუკეთებთ აგრეთვე, ჯანდაცვის სამინისტროში. უფრო დაწვრილებით შემდეგ მოგახსენებთ, როცა მასალებს გავეცნობი.

**ერთი სიტყვით, თუკი პარლამენტი ბოლომდე მიიყვანს ამ საკითხს, ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. რატომ და ვისი დაკვეთით დევნიდნენ სახალხო მკურნალს სახელისუფლებო ტელევიზიები და გაზეთები? მართალია, ამ მთავარ კითხვას „ვერსიამ“ ბევრჯერ გასცა პასუხი, მაგრამ ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანოს ჩართვა ამ საქმეში იმის დასტური იქნება, რომ ქვეყანაში მართლაც დაიწყო სამართლიანობის აღდგენის პროცესი.**



## მარკ ადომანისი: „ვაშინგტონ პოსტი“ ცდება, საქართველოს დემოკრატია საფრთხეში არ არის

„ვაშინგტონ პოსტი“ ცდება, საქართველოს დემოკრატია საფრთხეში არ არის!“ — ამ სათაურით ეხმაურება გამოცემა „ფორბსის“ კონტრიბუტორი მარკ ადომანისი ამერიკულ გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიას, სათაურით — „საქართველოს დემოკრატია საფრთხეშია“.

როგორც „ფორბსში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი აღნიშნავს, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა საქართველოს ხელისუფლების დემოკრატიულობაზე არ არის დამოკიდებული.

**„სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ავტორიტარული რეჟიმი აკონტროლებს. დემოკრატიული ხელისუფლება კი ეკონომიკურ სტაგნაციას ადევნებს თვალს. არ ვიცი, რატომ აერია ეს ორი განსხვავებული ცნება – პოლიტიკური ლიბერალიზმი და ეკონომიკური ზრდა „ვაშინგტონ პოსტს“, მაგრამ ეს ისეთი აშკარა და ფუნდამენტური შეცდომაა, რომ ამ არგუმენტის არაკეთილსინდისიერებაზე მეტყველებს“,** — წერს მარკ ადომანისი.

სტატიის ავტორს მოჰყავს მიხეილ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მომხდარი დარღვევები. კერძოდ, სააკაშვილის მთავრობის მიერ კერძო ტელევიზიების გაკონტროლება, ოპოზიციის მხარდამჭერთა დევნა და ხელისუფლების მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევები.

**„ადამიანთა უფლებადამცველი გავლენიანი ორგანიზაციების მოხსენებებით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილისდროინდელი ხელისუფლება ბევრ სერიოზულ დანაშაულსა და ძალადობაში იყო დამნაშავე. „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ნაცმოძრაობის მაღალჩინოსანთა სასამართლო წესით დევნის ნებისმიერი მცდელობა არალეგიტიმურია. სისულელეა! თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებს გადავხედავთ, აშკარაა, სინამდვილეში, ხელისუფლებაში ყოფნისას ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნებს ბევრი სერიოზული დანაშაული აქვთ ჩადენილი. ხელისუფლება, რომელიც ერთგულია კანონის უზენაესობისა, ვალდებულია გამოიძიოს და სამართლებრივი დევნა აწარმოოს ნებისმიერი მაღალჩინოსნის მიმართ, რომელთაც უფლებამოსილებას გადააჭარბეს, რაც დამახასიათებელი იყო სააკაშვილის მთავრობისთვის. კანონის უზენაესობა კი იმას ნიშნავს, რომ ყველამ უნდა აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისთვის და გამონაკლისი არ არსებობს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „ჩემმა პოლიტიკამ სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოიტანა“,** — წერს „ფორბსის“ კონტრიბუტორი.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის სხვა მაღალჩინოსანთა სასამართლო წესით დევნის ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობა იმის მიხედვით გამოჩნდება, თუ როგორ წარიმართება სასამართლო პროცესი.

**„ვიმედოვნებ, რომ საქართველოს შესწევს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციის პროგრესის ძალა. ჩვენ იმას კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, წარდგებიან თუ არა ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები სასამართლოს წინაშე, არამედ იმას, როგორ წარიმართება ეს სასამართლო. შესაძლოა, ივანიშვილის მთავრობა კუდიანებზე ნადირობითაა დაკავებული, მაგრამ ამავე დროს, შესაძლოა, ის სამართლიანობის აღდგენაზე ზრუნავს. ჩვენ, უბრალოდ, უნდა დავიცადოთ და არ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო კოლეგია მოიქცა — არ უნდა დავკავდეთ ცალმხრივი პოლიტიკური სურათის წარმოჩინებით და ცუდად ინფორმირებული სპეკულაციით“.**

ამერიკულმა გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა“ რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა სარედაქციო საბჭოს სტატია, სათაურით „საქართველოს დემოკრატია საფრთხეშია“. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება წინა მთავრობას, ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ბრალს სდებს კანონისთვის თავის არიდებაში, ოპონენტებსა და მედიაზე ზეწოლაში.

**„მაგრამ ამ წყვილმა ასევე, ჩაატარა ყველაზე დემოკრატიული არჩევნები საქართველოს ისტორიაში და სწრაფად აღიარა ის დამარცხება, რომელმაც ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა. მოსაზრება, რომ მერაბიშვილის დევნა პოლიტიკური მიზეზებით არ არის განპირობებული, ისეთივე სარწმუნოა, როგორც ის, რომ უკრაინის ოპოზიციის ლიდერი იულია ტიმოშენკო ციხეშია პრემიერ-მინისტრობის დროს ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისთვის“.**

„ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეკონომიკა შეჩერდა და ხელისუფლება თავს ესხმის ოპონენტებს.

**„მილიარდერ ივანიშვილს, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა, მიხეილ სააკაშვილისგან მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით ხელისუფლების მიღების შემდეგ შეეძლო, თავი აერიდებინა წინა რეჟიმის სამართლებრივი დევნისთვის და ფოკუსირება მოეხდინა წინა წლების ეკონომიკური ზრდის გამყარებაზე. ამის სანაცვლოდ, ეკონომიკა გაჩერდა, რამდენადაც, ახალმა მთავრობამ ოპოზიციას სასამართლოებსა და ქუჩებში შეუტია“,** — ნათქვამია „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ვერსიანიუსი

## „უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევისთვის პრემიერის მზადყოფნაა საჭირო და ასეთი ღონისძიება ცირკად არ უნდა იქცეს“



უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას განცხადებით, უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევისთვის პრემიერ-მინისტრის მზადყოფნაა საჭირო და ასეთი ღონისძიება ცირკად არ უნდა იქცეს. ამის შესახებ ბოკერიამ ჟურნალისტებს ნატო-ს სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაისთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

**„ეს განცხადებები, რაც გვესმის სხვადასხვა გუნდის წარმომადგენლებისგან, გაუგებარია. უშიშროების საბჭოს პრეზიდენტი იწვევს და მონაწილეობა უნდა მიიღონ პრემიერმა და საკვანძო მინისტრებმა, ძალოვანმა მინისტრებმა და სხვებმა. თუ ასეთი ღონისძიების ჩატარების მზადყოფნა არ არის, ცირკად ხომ არ შეიძლება, ეს იქცეს?! ამისთვის უნდა იყოს მზაობა არა დეპუტატების, არამედ პრემიერ-მინისტრის მხრიდან“,** — განაცხადა ბოკერიამ.

ბოკერიას ინფორმაციით, პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს უშიშროების საბჭოს ჩატარების ინიციატივით რამდენჯერმე მიმართა, მათ შორის საჯაროდაც, თუმცა მთავრობის მეთაურისაგან ამ ინიციატივას რეაგირება არ მოჰყოლია.

**„პრეზიდენტმა უნდა მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა, მაგრამ აქ სპექტაკლის დადგმას ხომ არ ექნება ადგილი? პრემიერი და მისი გუნდი უნდა იყოს მზად და უნდა ჰქონდეს სურვილი, ასეთი შეხვედრა გაიმართოს“,** — დასძინა გიგა ბოკერიამ.

*„პირველი“*

## ავღანეთში, ქართული გაძლიერებული ოცეული ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში გადავიდა



ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში დისლოცირებულმა ქართველმა ჯარისკაცებმა, 4-წლიანი სამსახურის შემდეგ, ფრანგული სარდლობის დაქვემდებარებაში თავიანთი მისია დაასრულეს.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამერიკული სარდლობის თხოვნით, ადლიის ცალკეული ბატალიონის გაძლიერებული ოცეული ქ. ქაბულში მდებარე ბაზა „ვერჰაუზიდან“ ამერიკულ ბაზა „ფენიქსზე“ გადავიდა.

ქართული გაძლიერებული ოცეულის ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში გადაყვანასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა ISAF-ის მისიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის თაობაზე სპეციალურ დადგენილებაში ცვლილება უკვე შეიტანა. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტში განხილვის შემდეგ საკითხი პლენარულ სხდომაზე დამტკიცდა.

ქართული სამხედრო დანაყოფი ბაზა, „ვერჰაუზის“ მსგავსად, ფენიქსზეც ანალოგიურ ამოცანას შეასრულებს. ქართველი ჯარისკაცების მთავარი ამოცანა ამერიკული ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

*„ნიუსპრესი“*

# ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობას მშობლები და ოჯახური პირობები განსაზღვრავს

მირიან მესტიაშვილი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, აკადემიკოსი

**ბავშვთა ნევროზულ აშლილობებს ხშირად საფუძვლად უდევს უარყოფითი ოჯახური გარემო, ოჯახური კონფლიქტები და აღზრდაში დაშვებული შეცდომები. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თითოეულ ბავშვში თავისებურად მიმდინარეობს ფსიქონევრული სფეროდან გადახრა (ნევროზულ აშლილობათა სხვადასხვა ფორმები, ნევროპათიული და ფსიქოპათიური მდგომარეობანი, ქცევის დარღვევის მრავალსახეობა და სხვ.). აღნიშნული პათოლოგია ზოგჯერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენიღბული სახით ვლინდება. მშობლები ბავშვს მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას (და ზოგჯერ განგაშსაც ტეხენ), როცა ესა თუ ის ფსიქონერვული პათოლოგია გარეგნული გამოვლინებით (ქცევით, მოქმედებით) ყველასათვის შესამჩნევი ხდება და იბადება კითხვა, როდის, რატომ და როგორ მოხდა, რომ ჩვენი შვილი, ბევრ შემთხვევაში ყოველნაირად უზრუნველყოფილი, სრულიად მოულოდნელად ავლენს პიროვნული ანომალიის ნიშნებს, ანდა აღმოჩნდება ნერვულად დაავადებული. მოდით, მიზეზებს შორის ნუ დავუწყებთ ძებნას...**



ზოგიერთი მშობელი ისე ტვირთავს ბავშვს, რომ არ ითვალისწინებს მის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს და მისი ნერვული სისტემის ამტანობას. ასეთი ბავშვი ვერ ახერხებს შეათავსოს, ერთბაშად აითვისოს სკოლის პროგრამაც, მუსიკის ან უცხო ენის შესწავლაც, ბავშვს უჭირს — იგი წუხს, იძაბება, ერღვევა ნერვული პროცესების წონასწორობა, რაც ქმნის ნევრასთენიური ნევროზის წარმოშობის პირობებს. ბავშვს ეწყება საერთო სისუსტე, უძილობა, თავისტკივილი. იგი ადვილად ღიზიანდება, იღლება, იფიტება, ეკარგება მადა, საკმარისია უმნიშვნელო მიზეზი, რომ გადაჭარბებული რეაქცია გამოიჩინოს, ხშირად ცრემლიანობს, ჟინიანობს. მკვეთრად უქვეითდება გონებრივი შრომის უნარი, უჭირს გაკვეთილების ათვისება და თავს იჩენს აკადემიური წარუმატებლობა. იგი ხშირად უჩივის უსიამოვნო შეგრძნებას გულ-მკერდის არეში, ჰაერის უკმარისობას, ხან კი კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოშლას. ხშირად ყოველივე ეს ვითარდება დაწეული, ნაღვლიანი გუნება-განწყობის ფონზე. ზოგიერთი მშობელი ყურადღებას არ აქცევს ბავშვის წუხილს, არ იჯერებს მის ჩივილებს და დახმარებისა და დაზოგვის მაგივრად, უფრო აძლიერებს კონტროლს, აიძულებს ბავშვს, თავაუღებლივ იმეცადინოს. ასეთ პირობებში საგრძნობლად ღრმავდება ნევროზული მდგომარეობა, რომელსაც თანდათანობით ემატება ხასიათის შეცვლაც.

ნევრასთენიის აღმოცენებისას, გონებრივი გადატვირთვის ფაქტორთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფიზიკურ მდგომარეობას — კერძოდ, გადატანილი ვირუსული, ინფექციური ან შინაგანი დაავადების შემდგომ ფსიქო-ფიზიკურ სისუსტეს.

საყურადღებოა აღზრდაში დაშვებული სხვა სახის შეცდომებიც. ზოგიერთ ოჯახში დაბადებიდანვე ზედმეტად ზოგავენ ბავშვს, ეშინიათ, რამე დატვირთვით ზიანი არ მიაყენონ მის ჯანმრთელობას, უზომოდ ანებივრებენ, ოჯახის „კერპად“ აქცევენ. გადაჭარბებული ყურადღებისა და ე.წ. ჰიპერპროტექციის წყალობით, ბავშვს ექმნება აზრი, რომ განსაკუთრებულია, მისთვის ყველაფერი ნებადართულია, ყოველი მისი სურვილი უნდა შესრულდეს. ამით ბავშვს უვითარდება ეგოიზმი, ავადმყოფური პატივმოყვარეობა, არაჯანსაღი განცდები. ასეთ გარემოში გაზრდილ ბავშვს არ უმუშავდება გარემოსადმი შემგუებლობის უნარი, მას არ შეუძლია, დაძლიოს სულ მცირედი წინააღმდეგობაც კი. სრულიად უმნიშვნელო დაბრკოლების გამოც კი, მას შეიძლება, განუვითარდეს ნევროზული მდგომარეობა, უფრო ხშირად ისტერიული ნევროზის სახით. ისტერიული აშლილობა ბავშვთა ასაკში ვლინდება სხვადასხვა სისტემების სფეროში, უპირატესად კი მოტორული, სომატოვეგეტატური და მგრძნობელობითი დარღვევებით: კიდურების დამბლის ან სისუსტის მოვლენები, მეტყველების დროებით შეწყვეტა (მუტიზმი), ან ხმის დროებით დაკარგვა, გარდამავალი (ფუნქციური) „სიბრმავე“ ან „სიყრუე“, უნებური მოძრაობები (ე.წ. ტიკები), კრუნჩხვითი (ისტერიული) გულყრები. ხშირია აგრეთვე შინაგანი ორგანოების ფუნქციის მოშლა: ყლაპვის გაძნელება, სლოკინი, პირღებინება, სუნთქვის მოშლა, შემაწუხებელი ხველება, შარდის შეკავება ან პირიქით, შეუკავებლობა და სხვ.

არიან მშობლები, რომლებიც ბავშვის აღზრდას ცალმხრივად ეკიდებიან და გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევენ მხოლოდ ბავშვის გონებრივ განვითარებას, ფიზიკურ შესაძლებლობებს კი უგულებელყოფენ. ასეთ ოჯახებში ზოგჯერ ითრგუნება ბავშვის მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, ეს კი ახშობს მის ყოველგვარ აქტიურობასა და ინიციატივას: ბავშვი მუდმივად მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება, მას აფრთხილებენ და აშინებენ კიდეც („თუ ასე არ გააკეთე, ხომ იცი, რა მოგელის“, და სხვ.). ზოგი მშობელი წამდაუწუმ დამამცირებლად მიუთითებს ბავშვს მის ფიზიკურ სისუსტეზე ან რაიმე ფიზიკურ ნაკლზე. ასეთ ოჯახურ გარემოში აღზრდილი ბავშვი სწორად ვერ აფასებს თავის შესაძლებლობებს, ხდება გულჩათხრობილი, მფრთხალი, გაუბედავი, არ აქვს საკუთარი თავის რწმენა, უჭირს თანატოლებთან კონტაქტის დამყარება და გარემოსთან შეგუება; ხშირად უვითარდება ფსიქასთენიური ნევროზი. ავადმყოფი ბავშვები წარამარა ამოწმებენ თავიანთ ნათქვამს, გადაწყვეტილებას, მოქმედებას. მაგალითად, დაკეტეს თუ არა კარი, ჩააქრეს თუ არა სინათლე, სწორად თქვეს თუ არა წინადადება და სხვა, რის გამოც მუდმივი დაძაბულობისა და შინაგანი განგაშის მდგომარეობაში იმყოფებიან.

ფსიქასთენიური ნევროზით დაავადებულ ბავშვთა მშობლების გაცნობისას ირკვევა, რომ ბევრ შემთხვევაში ერთ-ერთი ან ორივე მშობელი გამოირჩევა თავისებური ხასიათობრივი ნიშნებით — უპირატესად იჭვნეულობის, მუდმივი დაძაბულობისა და განგაშის მოვლენებით. ასეთი მშობლები ბავშვებს უმუშავებენ გაზრდილ თვითანალიზს, მიდრეკილებას ყოყმანისა და ეჭვებისადმი, არასწორია მათი აღზრდის ტაქტიკაც — ბავშვის მიმართ ისინი ავლენენ არათანაბარ და ხშირად, ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულებას: ერთი მხრივ ანებივრებენ, მეორე მხრივ — აშინებენ, უნერგავენ ჰიპერტროფირებულ პასუხისმგებლობას თავისი ქცევის მიმართ.

ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი, როცა სიძნელეებს აწყდება ან როცა მასზე უსიამოვნო განცდები მოქმედებს, ბევრ შემთხვევაში ავლენს აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზის მოვლენებს.

ნევროზის აღნიშნული სახე შეიძლება აღმოცენდეს აგრეთვე უარყოფითი ფსიქოგენური ფაქტორების ზემოქმედებით (ოჯახური კონფლიქტები, ფსიქოგენურ-სტრესული ვითარება, ფსიქიკური ტრავმა).

ბავშვთა ასაკში აკვიატებული მდგომარეობანი, ძირითადად, იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში უპირატესად წარმოდგენილია აკვიატებული შიში; მეორეში — აკვიატებული მოძრაობანი და მოქმედებები; დაბოლოს, მესამე ჯგუფი ხასიათდება აკვიატებული აზრებით, სიტყვებით, თვლით, ყოყმანით. აკვიატებული შიშის შინაარსი უფრო ხშირად განისაზღვრება იმ საგნებითა და მოვლენებით, რომელსაც შეუძლია, ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს (შიში სიკვდილის, რომელიმე დაავადების გადადების, გაბინძურების, მჭრელი და წვეტიანი საგნებისა). არაიშვიათად ბავშვები ავლენენ მოქმედების შიშს გარკვეულ გარემოში, მაგალითად — შიში დაფასთან გასვლის, ზეპირი პასუხის, შიში დახურული შენობის, გაშლილი სივრცის და სხვ. ყველა ასეთ შემთხვევაში, აკვიატებულ შიშთან ერთად, ბავშვებს აღენიშნებათ ვეგეტატური ნერვული სისტემისა და მოძრაობითი სფეროს დროებითი აშლის მოვლენები, კერძოდ — კანკალი, პირის სიმშრალე, გაფითრება ან გაწითლება, შებოჭილობა და ზოგჯერ, მეტყველების დარღვევა (პასუხის გაცემის შეუძლებლობა, ხმის წართმევა და სხვ.).

ზოგიერთ ოჯახში ბავშვის თანდასწრებით ხშირად ლაპარაკობენ ოჯახის რომელიმე წევრის ან ახლობლის ავადმყოფობაზე; ზოგან განსაკუთრებული შეშფოთებით ფიქრობენ რაიმე დაავადების საშიშროებაზე, შიშით ეკიდებიან ბავშვის სულ მცირე ფიზიკური არაკეთილდღეობის გამოვლინებას; საჭიროა თუ არა, გამუდმებით რომ დაჰყავთ ბავშვი სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში. ასეთ ოჯახურ გარემოში ბავშვს ცხოვრება უხდება ავადმყოფობის მოლოდინსა და მუდმივი დაძაბულობის ატმოსფეროში. იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას როგორც თავის შინაგანი ორგანოებიდან მიმდინარე შეგრძნებებზე, ისე გარეგან ნიშნებზე (სახის ფერი, კუნთების ტონუსი და სხვ.) და ხშირად, ცოცხალი ორგანიზმისთვის სრულიად აუცილებელ და საღ შეგრძნებებს არასწორად მიიჩნევს ავადმყოფურად. ასეთი ბავშვები მუდმივად ისინჯავენ მაჯას, ხელს იდებენ გულზე, სთხოვენ სხვებსაც — გაუსინჯონ პულსი, ყურს უგდებენ გულისცემას, სუნთქვის რიტმს, შეგრძნებებს მუცლის მიდამოში, გამოაქვთ არაჩვეულებრივი დასკვნები შემთხვევით გაგონილ დაავადებათა შესახებ. იპოქონდრული ნევროზით დაავადებული ბავშვები მარტო უსიამოვნო და ხშირად უცნაურ შეგრძნებებს კი არ უჩივიან, არამედ მტკიცედ არიან დარწმუნებულნი თავის „ავადმყოფობაში“.

გახანგრძლივებული ოჯახური კონფლიქტები, გარდა ნევროზული მდგომარეობისა, ხშირად იწვევს ქცევის მოშლის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის უპირატესად ე.წ. პათოქარაქტეროლოგიურ რეაქციებს „უარყოფის“, „პროტესტის“ და „იმიტაციის“ რეაქციების სახით. ეს რეაქციები განსხვავებულად ვლინდება, მაგრამ მათ აერთიანებს სწავლაზე გულაცრუება, გაკვეთილების სიტემატური გაცდენა, მშობლებისა და უფროსების მიმართ დემონსტრაციული ოპოზიციური დამოკიდებულება, უხეშობა, ცინიზმი, აგრესიულობა, სახლიდან გაპარვა, ხეტიალი, ანტისოციალური ქცევის თანატოლებთან და ხშირად უფრო მოზრდილებთან დაკავშირება, თუთუნის წევის დაწყება, არც ისე იშვიათად, ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკულ და ტოქსიკურ ნივთიერებათა მიჩვევა. თუ კონფლიქტური ვითარება დროულად არ გამოსწორდა, პათოქორაქტეროლოგიური რეაქციები ხანგრძლივდება და თანდათანობით ყალიბდება მყარი ფსიქოპათიური მდგომარეობანი ქცევის მკვეთრი მოშლით, გარემოს მიმართ შემგუებლობის გაძნელებით. ასეთი კატეგორიის მოზარდთა შორის ხშირია ანტისოციალური ქცევები და დანაშაულებრივი ქმედებანი.

არც ისე იშვიათად, გახანგრძლივებული და ინტენსიური კონფლიქტების შედეგად ბავშვებს (მოზარდებს) უვითარდებათ ე.წ. ფსიქოსომატური აშლილობანი (შინაგანი ორგანოების ფუნქციური მოშლა, სისხლის წნევის ხშირი აწევა, სისხლში შაქრის შემცველობის მომატება, კანზე გამონაყარი, ასთმური შეტევები და სხვ.).

საერთოდ, ნევროზული მდგომარეობა უფრო ხშირად აღმოცენდება მაშინ, როცა უარყოფითი ოჯახური პირობები და აღზრდის შეცდომები ემთხვევა ბავშვის ნერვული სისტემის თანდაყოლილ ან შეძენილ სისუსტეს ან სუსტ ფიზიკურ ჯანმრთელობას. ნერვული სისტემის სისუსტეში იგულისხმება ბავშვის მიერ გადატანილი თავის ტვინის ორგანული დაზიანება, თანდაყოლილი ნერვული სისუსტე — ნევროპათია და სხვ.

ამრიგად, ბავშვისა და, საერთოდ, მოზარდი თაობის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მნიშვნელოვანწილად, თვით მშობლები და ოჯახური პირობები განსაზღვრავს.

## ვერსიანიუსი

### სასწავლო სახელმძღვანელოები სკოლებს 15 ივნისიდან გადაუნაწილდებათ



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ის სასაწყობე მეურნეობა დაათვალიერა, სადაც დაბეჭდილი სასკოლო წიგნები ინახება.

შპს „დმგ ვესტლაინის“ დათვალიერების შემდეგ მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ სასწავლო სახელმძღვანელოები 15 ივნისიდან გადაუნაწილდებათ სკოლებს.

„ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას შპს „დმგ ვესტლაინის“ ხელმძღვანელმა მამუკა ფრიდონაშვილმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა სტამბიდან შემოსული სასწავლო სახელმძღვანელოების დასაწყობება ხდება აღნიშნულ ტერიტორიაზე, შემდეგ კი მოხდება გადახარისხება და რეგიონების მიხედვით რესურსცენტრებში გადანაწილება. რესურსცენტრები, საჭირო რაოდენობის სასწავლო სახელმძღვანელოებს სკოლებს მიაწვდიან.

### საქართველოს პატრიარქმა ლაიმა ვაიკულე მიიღო




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ საქართველოში ვიზიტად მყოფი რუსეთში მოღვაწე მომღერალი, ლაიმა ვაიკულე მიიღო.

ილია მეორემ ვაიკულეს მის მიერ დაწერილი საგალობლები მოასმენინა და ასევე, მის მიერ შექმნილი ჯვარი უსახსოვრა.

უწმინდესმა იმედი გამოთქვა, რომ ლაიმა ვაიკულე საქართველოს კიდევ ესტუმრება და მომღერალს საპატრიარქო პირადად დაათვალიერებინა, საკუთარი სამუშაო ოთახი, საპატრიარქოში არსებული სიწმინდეები მოალოცინა.

პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ, ლაიმა ვაიკულემ ჟურნალისტების კითხვაზე: რა შთაბეჭდილებით ტოვებს საპატრიარქოს, აღნიშნა, რომ „ამ გრძნობის გადმოსაცემად სიტყვები არ ჰყოფნის“.

***„ინტერპრესნიუსი“***

ზურაბ გამრეკელი



# რამდენად აქტუალურია უცხოელებისთვის მიწების მიყიდვის აკრძალვა

**საქართველოს პარლამენტში შესულია კანონპროექტი 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის შეჩერების შესახებ. მისი ავტორების ინფორმაციით, ეს ნორმა არ შეეხება იმ მიწებს, რომლებიც უკვე უცხოელი მოქალაქეების საკუთრებაშია. დოკუმენტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ დღეის მდგომარეობით, არსებობს მიწების ირაციონალური გაყიდვის რეალური საფრთხე, რამაც შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე. ასევე, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს სოფლების ადგილობრივ მაცხოვრებლებს.**

ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მთავრობას დაევალება მიწის კადასტრის სრულყოფა და ექვს თვეში „...მიწის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობის შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, კანონპროექტის დანიშნულებაა, ძირითადად, ინდოელ ფერმერთა მზარდი მიგრაციული „ნაკადის“ შეჩერება, რაც მასობრივად, 2012 წლიდან ხორციელდება. ამ პერიოდის განმავლობაში, არსებული ინფორმაციით, საქართველოში დასახლდა 2000 ინდოელი ფერმერი, რომლებიც ჩვენში, ძირითადად, მოიზიდა იაფმა და ნაყოფიერმა მიწამ და ბიუროკრატიული პროცედურების სიმარტივემ. ინდოელებმა აღმოსავლეთ საქართველოს სავარგულებზე დაფუძნება გადაწყვიტეს. რამდენად სერიოზულია არსებული საფრთხე?

## დღის წესრიგშია გლობალური სასურსათო პრობლემატიკა

უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხე მართლაც სერიოზულია. ჯერ კიდევ 1985 წელს, გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რომის სამიტზე გამოითქვა მოსაზრება, რომ 2015 წლიდან სურსათის ხელმისაწვდომობა და საკმარისობა გლობალურ პრობლემად გადაიქცევა. საქართველოს სურსათის იმპორტზე მზარდი დამოკიდებულების გამო, სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვამ, შესაძლოა, საკმაოდ ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე.

ექსპერტული გაანგარიშებით, 2011 წლის მარცვლეულის მსოფლიო მოსავალი 2.295 მლრდ ტონა იყო, რაც 53 მლნ ტონით აღემატებოდა 2009 წლის სარეკორდო მოსავალს. ამის მიუხედავად, 2011-2012 წლების მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებაში ძირითადი ტენდენცია მარცვლეულის მოხმარების 90 მლნ ტონით ზრდა იყო.

ამავდროულად, ბოლო 12 წელში მარცვლეულის მსოფლიო გარდამავალი მარაგი საგანგაშოდ დაბალ დონეზეა, რაც ფასების ზრდას იწვევს. დღევანდელი მონაცემებით, ეს მარაგი 469 მლნ ტონას ანუ 75 დღის მოხმარებას უტოლდება მაშინ, როცა, 1984-2001 წლებში 100 დღემდე მოხმარების ინტერვალში მერყეობდა. უკვე 2002 წელს მარცვლეულის წარმოება შემცირდა და მოთხოვნის დონეს 88 მლნ ტონით ჩამორჩა. ამ დროიდან, 2006 წლამდე მსოფლიო მარაგის დონე 72 დღის მოხმარებას გაუტოლდა, 2006 წლიდან მარცვლეულის მარაგი უფრო შემცირდა და 62 დღემდე დაიწია. ამის გამო, 2007-2008 წლებში მარცვლეულის ძირითად სახეობებზე (ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი) ფასები გაორმაგდა. შედეგად, ღარიბ ქვეყნებში, რომლებშიც შემოსავლების ნახევარზე მეტი სურსათზე იხარჯება, მოხმარების დონე შემცირდა, რამაც 35 ქვეყანაში სოციალური მღელვარებებიც კი გამოიწვია, ხოლო მსოფლიოში მოშიმშილე ადამიანთა რიცხვმა მილიარდს მიაღწია.

მაგალითად ტუნისში, ფასების მატებით გამოწვეული არეულობის შემდეგ, ხორბლის პანიკური შესყიდვა დაიწყეს. გაზრდილი მოცულობით ყიდულობს ხორბალს ალჟირი და ლიბია; მაგალითად, შარშან ეგვიპტემ ერთ დღეში, ბირჟაზე ერთბაშად 1 მილიონი ტონა ხორბალი შეისყიდა, რამაც მსოფლიო ბირჟებზე პანიკა გამოიწვია. რეზერვების დიდი მოცულობით შევსების შესახებ განაცხადა თურქეთმაც. ე.ი. სურსათის დეფიციტით შეშინებულმა ქვეყნებმა სახელმწიფო რეზერვების შექმნა დაიწყეს.

ამის გამო, ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნის, არგენტინის მთავრობამ განაცხადა, რომ შესაძლოა, მარცვლეულის ქვეყნიდან გატანა შეზღუდოს და ექსპორტზე კვოტები დააწესოს. ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ადგილობრივმა ფერმერებმა სიმინდი და სოია გააძვირეს.

ამრიგად, სასურსათო კრიზისის გამო, არაერთი სახელმწიფო უკვე სოციალური აფეთქების ზღვარზეა. ნაკლებად დამაიმედებელი ინფორმაციები მოდის სურსათის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყნებიდან. სურსათზე მოთხოვნა კი კვლავ იმატებს, რაც უახლოეს მომავალში, მსოფლიოს სურსათის დეფიციტს უქადის.

## გამოსავალი — სხვისი მიწების ხარჯზე

სურსათზე ფასების ზრდა, ძირითადად, ისეთ ქვეყნებს დააზარალებს, რომლებიც საკვების იმპორტზე არიან დამოკიდებულნი. ამ მდგომარეობიდან ზოგ ქვეყანაში ორიგინალური გამოსავალი იპოვეს. კერძოდ, რიგმა აზიურმა „ნავთობდოლარებიანმა“ ქვეყნებმა დაიწყეს ღარიბ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესყიდვა. სავარაუდოდ, აღნიშნული კომპანიები, ინდოელების გვერდით, მალე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამოჩნდებიან.

განსაკუთრებით აქტიურობენ საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ყატარი. ასე მაგალითად, საუდის არაბეთში უცხოეთში სავარგულების შესაძენად სახელმწიფო პროგრამაც კი არსებობს. კერძოდ, 2008 წლიდან ერ-რიადში, დეფიციტური წყლის რესურსების ეკონომიის მიზნით, გამოაცხადეს მარცვლეულის წარმოების 12%-ით შემცირება. იმავდროულად მთავრობამ, წარმოებული სურსათის ქვეყანაში შემოტანის პირობით, გამოყო 5 მლრდდოლარიანი შეღავათიანი კრედიტი. კრედიტები გაიცემა იმ კომპანიებზე, რომლებიც ინვესტირებას „დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის მქონე“ ქვეყნებში განახორციელებენ. პროგრამის ფარგლებში, მაგალითად, საუდის კომპანიამ „ფორასმა“ (Foras), ბრინჯის მოსაყვანად 1 მლრდ დოლარი მიიღო, რითაც მალიში, სუდანში, სენეგალში, კენიასა და უგანდაში მიწები შეიძინა. საუდის არაბეთის მეორე კომპანიამ, „საუდი სტარმა“ (Saudi Star) ათასობით ჰექტარი მიწა შეისყიდა ეთიოპიაში და 2009 წელს იქ 100 მლნ დოლარის ღირებულების ხორბლისა და ბრინჯის წარმოების პროექტი განახორციელა.

არანაკლები აქტიურობით გამოირჩევა ჩინეთი, სადაც უცხოეთში სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვა, ასევე სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობს. მაგალითად, კონგოში ჩინეთის საკუთრებაშია 2.8 მლნ ჰა მიწა, სადაც ბიოსაწვავის მისაღებად პალმის ზეთის წარმოებაა მოწყობილი. ამავე მიზნით, ჩინეთმა 2 მლნ ჰა მიწა შეისყიდა ზამბიაში, ასევე თითქმის მილიონი ჰექტარი აქვს ჩინეთს ბრინჯის წარმოებისთვის ნაყიდი ტანზანიასა და მოზამბიკში.

სწორედ ზემოაღნიშნული ქვეყნების ანალოგიურად იქცევა ინდოეთის ხელისუფლებაც. შეღავათიანი სამთავრობო კრედიტებით 100-ზე მეტმა ინდურმა კომპანიამ ბოლო სამ წელში, ასობით ათასი ჰექტარი მიწა შეისყიდა ეთიოპიაში, კენიაში, სენეგალში, მოზამბიკში და სხვ. ინდურ კომპანიებს შორის გამოირჩევა ყვავილების, ძირითადად, ვარდების მწარმოებელი კომპანია „კარატური გლობალ“ (Karaturi Global), რომელსაც 1 მლნ ჰა-მდე მიწები აქვს კენიაში, ეთიოპიასა და ტანზანიაში. მიწების ყიდვა-გაყიდვაში (საშუამავლო ბიზნესში) განსაკუთრებული წარმატებები აქვს ბრიტანულ კომპანიას „ემერგენტ ესსეტ მენეჯმენტს“ (Emergent Asset Management). სულ, 2008 წლიდან დღემდე, აფრიკაში შესყიდული ან გრძელვადიანი იჯარით გაცემული აღმოჩნდა 60 მლნ ჰა-მდე მიწა.

ინვესტორი კომპანიების მესვეურები აცხადებენ, რომ მილიარდობით დოლარის განვითარებად ქვეყნებში დაბანდებით, ისინი ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, მათში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, სამუშაო ადგილების შექმნას.

სინამდვილეში, საქმე ცოტა სხვაგვარადაა. იგივე ეთიოპიის პროვინციებში — ბაკო და გამბელა, სადაც ძირითადად, ინდური აგრარული კომპანიებია შესული, საცხოვრებელი ადგილები 300 ათას ადგილობრივ მოსახლეს დაატოვებინეს, მათგან მხოლოდ 20 ათასმა იშოვა სამუშაო ახალ ფერმებში. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ღარიბ ქვეყნებშიც. გაერო-ს შეფასებით, აღმოსავლეთ აფრიკაში 2011 წელს შექმნილი სასურსათო მდგომარეობა მსოფლიოს ყველაზე დიდ ჰუმანიტარულ კატასტროფადაა მიჩნეული. უკვე დაიწყო საპროტესტო გამოსვლების ტალღა. მაგალითად, მადაგასკარზე სამხრეთკორეულ „დეუს“ (Daewoo) 99 წლით უნდა აეღო 1.3 მლნ ჰა მიწა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის შედეგად, ეს კონტრაქტი ანულირებულ იქნა.

საეჭვოა, ჩვენი მიწებისადმი ინტერესი შესაბამისი კანონმდებლობის მიღებამ მოხსნას, რადგანაც ადგილობრივ რეზიდენტებთან ერთად, „ცრუმაგიერი“ ფირმების დაფუძნებით, საკანონმდებლო შეზღუდვები ადვილად დაძლევადია. ასეთი სქემებით მოქმედებს მაგალითად, შვედურ-იტალიური კონსორციუმი „ბლექ ერს ფარმინგი“ (Black Earth Farming), რომელმაც რუსეთის შავმიწანიადაგიან ზოლში 300 ათას ჰა-მდე მიწა ჩაიგდო ხელთ.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორიულად ახლო აღმოსავლეთთან ახლოს მყოფ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ბევრი დაუმუშავებელი სავარგულია. გლეხური მეურნეობების ნაწილი უპატრონოდაა მიტოვებული, ხოლო ნაწილის მფლობელები, ხელმოკლეობის გამო, ალბათ, იაფად დათმობენ თავიანთ ნაკვეთებს.

## ვერსიანიუსი



### გარდაცვლილი პატიმრის საქმეში რამდენიმე პირია გამოვლენილი

გეგუთის კოლონიაში მომხდარი ინციდენტის შედეგად გარდაცვლილი პატიმრის, ლევან კორტავას საქმეში რამდენიმე პირია გამოვლენილი, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების სამინისტროში განუცხადეს.

უწყების ინფორმაციით, სამინისტროს გენინსპექციის მიერ გამოძიებისას მოპოვებული მასალები სრულად გადაეცა პროკურატურას, რომელიც გამოძიებას მეთვალყურეობდა და დასკვნას სწორედ პროკურატურა მოამზადებს.

უწყებაში არ აკონკრეტებენ, გამოძიებისას გამოვლენილი ფიგურები არიან თუ არა გეგუთის ციხის თანამშრომლები.

გარდაცვლილი პატიმარი ლევან კორტავა ფოთში, 1 ივნისს დაკრძალეს.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ გეგუთის №14 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ორი ვერსია გაავრცელა. ბოლო განცხადებაში სამინისტრო პატიმრის გარდაცვალების მიზეზად პატიმრებს შორის მომხდარ კონფლიქტს ასახელებს. სამინისტროს პირველ განცხადებაში პატიმრის გარდაცვალების მიზეზად მისი კიბეზე დაგორება იყო დასახელებული.

***„ინტერპრესნიუსი“***

### ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე შექმნილ ვითარებაზე გრიგორი კარასინი ფილიპ ლეფორს ესაუბრა



ამ ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის მხარემ ლეფორს აცნობა — მარტში გამართულ ჟენევის მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე ეს საკითხი ქართული მხარის მიერ იქნა წამოწეული. იმავე შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის მხრიდან იყო საპასუხო რეაქცია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოეწყო საკუთარი სახელმწიფო საზღვარი. საუბრის დროს ასევე აღინიშნა, რომ საქართველოში წინასაარჩევნოდ ვითარების გამწვავება, მით უმეტეს, რუსეთის ფედერაციის მიმართულებით „ისრების ტყორცნა“, უსამართლოა.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ევროსაბჭოს სპეციალურ წარმომადგენელ ფილიპ ლეფორს კარასინმა ასევე მოახსენა, რომ სამხრეთ ოსეთის მხარემ არაერთხელ დააყენა საზღვრის დემარკაციის საკითხი, თუმცა ქართულმა მხარემ, სხვადასხვა საბაბით, თავი აარიდა მას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე მავთულხლართების გაბმის საკითხს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეს საკითხი არ განიხილება კარასინი-აბაშიძის შეხვედრაზე, რადგან მსგავსი საკითხები ამ შეხვედრის ფორმატში განსახილველი საკითხის რიცხვში არ დგას. აბაშიძე-კარასინის შეხვედრა 4-5 ივნისისთვისაა დაგეგმილი.

***„ინტერპრესნიუსი“***

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

# მე-13 პოლიკლინიკის დირექტორს თანამდებობას დაატოვებინებენ!

**3 ივნისს №13 პოლიკლინიკის ექიმები გაიფიცნენ. ისინი დირექტორის ექვთიმე კუგოტის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, რომლის თანახმადაც, 1 ივნისიდან 9 ექიმი სამსახურიდან გათავისუფლდა. პოლიკლინიკაში მოსალაპარაკებლად გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე ჯონი ჯანაშია და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე კახა საკანდელიძე მივიდნენ. რამდენიმეწუთიანი ხმაურიანი მოლაპარაკების შემდეგ დირექტორმა პოლიკლინიკა უკომენტაროდ დატოვა.**

## რატომ გაათავისუფლეს 9 ექიმი სამსახურიდან და რა ვალდებულება იკისრა მამუკა ქაცარავამ ექიმების საპროტესტო აქციის შემდეგ



**ჯონი ჯანაშია, მედიცინის პროფკავშირის თავმჯდომარე:** „დირექტორს წარმოდგენა არ აქვს წარმოებაზე. გასაშვები თვითონ არის და მართლა სჭირდება ექიმების დახმარება. ექიმს რომ დირექტორი ეტყვის, ხელი არ დაიბანო, სველი ხელსახოცით გაიწმინდეო, იქ საუბარი დამთავრებულია. განსხვავებული აზრის გამო 9 ექიმი გაათავისუფლა, რაც პოლიტიკური დევნაა. მას საქმე შპს „მე-13 პოლიკლინიკის" საერთოდ გაუქმებამდე მიჰყავს. ჩვენი მოთხოვნაა, დაუყოვნებლივ აღადგინოს სამსახურში გათავისუფლებული ექიმები, გადადგნენ დირექტორი და მისი მოადგილე რუსუდან სოლომონიძე, რომელიც ამ დრომდე გაქცეულია. ასევე გაქცეულია დაცვის სამსახურის უფროსი ტარიელ ონიანი, რომელსაც დირექტორმა სასათბურე პირობები შეუქმნა და ექიმებზე ორჯერ მაღალი ხელფასი დაუნიშნა, 3 ოთახი გამოუყო მას და მის ცოლ-შვილს საცხოვრებლად. ასევე მოვითხოვთ, სანამ არ გარემონტდება ის 500 კვ.მ, რომელსაც თანამშრომლებს ჰპირდებიან, მანამდე დართონ უფლება, პოლიკლინიკაში განაგრძონ მუშაობა. მოვითხოვთ, შევხვდეთ ქალაქის ქონების მართვისა და სოციალური მომსახურეობის საქალაქო სამსახურის უფროსებს".

**ხათუნა კერესელიძე, ექიმი კარდიოლოგი:** „9 ექიმის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა ჩაიწერა, არადა, ვადა 80 თანამშრომლის შრომით ხელშეკრულებას გაუვიდა და მაშინ რატომ გათავისუფლდა მხოლოდ 9 ექიმი? ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით აუქციონს. 2012 წლის 20 ნოემბერს აუქციონზე ერთი ფართი 2 შპს-თი გაიყიდა. ახლა გვეუბნებიან, რომ ჩვენთვის გამოყოფილია ლაღიძის 8-ში არსებული კლინიკა „შუა ქალაქში" 170 კვ.მ ფართი. იქ კი მუშაობის არანაირი პირობა არ არის. გვსურს, დიალოგი დავით ჭედიასა და მამუკა ქაცარავასთან. თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, შიმშილობას დავიწყებთ".

**პროფკავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ დირექტორმა რევანში აიღო იმ ექიმებზე, ვინც მას ეწინააღმდეგებოდა:** „ყველა დირექტორი და დამსაქმებელი, რომელსაც არ აქვს უნარი, მშვიდი გარემო შექმნას სამსახურში, თვითონ უნდა წავიდეს. დირექტორობა მარტო ფულის კეთება და სავარძელში გამოჯგიმვა არ არის, ეს პასუხისმგებლობაა თანამშრომელთა წინაშე. დირექტორი ლოგიკაში გაიჭედა. ვერ დადო დოკუმენტი, რომელიც ამ შენობის დაცლას ითხოვს, რადგან ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს. ეს შენობა გაყიდული არ არის, მხოლოდ შპს გაიყიდა".

**ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე კახა საკანდელიძე აცხადებს, რომ:** „ქალაქის მერიამ ორივე შპს მიყიდა ერთ პიროვნებას; დაავალდებულა, რომ იმ ისტორიული შენობიდან გადაიყვანონ ექიმები ლაღიძის 8-ში და მოხდეს ამ ორი პოლიკლინიკის ოპტიმიზაცია. მფლობელს, კახა ლომსაძეს ვესაუბრე რამდენიმე თვის წინ და დამპირდა, რომ შპს მე-13 პოლიკლინიკისთვის გამოყოფდა 500 კვ.მ-ს შესაბამისი პირობებით, თუმცა პირობას არ ასრულებს. ლაღიძის 8-ში ავადმყოფის მიღება წარმოუდგენელია, არავითარი სანიტარული პირობები არ არის. გამოსავალი ერთია — გამოიყოს 500 კვ.მ ამ ექიმებისთვის შესაბამისი პირობებით. მფლობელს ძალიან დიდი ვალდებულება აქვს დასაფარი. წლის ბოლომდე იმ ვალს თუ არ დაფარავს, ეს შპს კიდევ უნდა გადაიყიდოს".

**აღშფოთებულმა ექიმებმა დირექტორის, ექვთიმე კუგოტის კაბინეტის კარი ფიცრებით აჭედეს. მე-13 პოლიკლინიკის გათავისუფლებული მთავარი ექიმი ლეილა შეროზია აცხადებს, რომ პოლიკლინიკის ბეჭედი, რომელიც მას ებარა, დირექტორმა, მინისტრის მოადგილის თანდასწრებით, ისევ მას გადმოაბარა, თუმცა რას ნიშნავს ეს ჟესტი, არ იცის. 4 ივნისს, თბილისის მერიის სოციალური მომსახურეობისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განაცხადა, რომ მზად არის, გაფიცულ ექიმებს შეხვდეს, მათი მოთხოვნები მოისმინოს და კლინიკაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისთვის ყველაფერი გააკეთოს:** „ექიმების წარმომადგენლებს შევხვდები და მაქსიმალურად გვერდით დავუდგები, თუმცა ქონებრივ საკითხში ვერ ჩავერევი. სახელმწიფოსა და ქალაქს ყოველთვის აქვს თავისი სტრატეგია, რომელსაც ადამიანური ინტერესები და სურვილი ვერ გადაწონის. რაც შეეხება დირექტორის გადადგომის მოთხოვნას, რადგან შეუთავსებლობაა დირექტორსა და თანამშრომლებს შორის და ვერ შედგა კომუნიკაცია, დღესვე დადგება მისი შეცვლის საკითხი. სანამ ინვესტორს ბოლომდე არ აქვს თანხა გადახდილი, ჯერჯერობით, დირექტორის საკითხს ქონების მართვის სააგენტო წყვეტს. ასევე, პირადად გავაკონტროლებ შპს „შუა ქალაქში" საინვესტიციო ვალდებულების შესრულებას. სანამ ინვესტორი ვალდებულებას არ შეასრულებს, ექიმები დარჩებიან და საქმიანობას განაგრძობენ მე-13 პოლიკლინიკაში. ეს შენობა კულტურის ძეგლია და იმ სამედიცინო-სალიცენზიო პირობებს, რომელსაც აყენებს ჯანდაცვის სამინისტრო, ვერ აკმაყოფილებს, ამიტომაც უახლოეს პერიოდში, თუ მათ არ შეიცვალეს შენობა, სამინისტრო დააყენებს დაჯარიმებისა და მათი დახურვის საკითხს. 1-2 თვის განმავლობაში ახალი დირექტორი და ინვესტორი უნდა შეხვდეს ექიმებს და აუხსნას, რა პირობებს შეუქმნის. ექიმების მიღება-გაშვების საკითხში ვერ ჩავერევი. დირექტორს გავუშვებ და ექიმებს შევახვედრებ ინვესტორთან, დირექტორის მოადგილეს კი ახალი დირექტორი გაუშვებს".

# სოციალურად დაუცველები სამინისტროს წარმომადგენლებისა და დაკავებული შენობების დაწვით იმუქრებიან!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**უკვე წლებია, რაც დედაქალაქში უსახლკაროთა პრობლემა ვერ გადაიჭრა. მეტიც, ყოველდღიურად მათ ათობით უსახლკარო ემატება. ისინი უკვე თვეებია მიტოვებულ შენობებში არიან შეჭრილები და აქციებს ხან დედაქალაქის მერიასთან, ხან პრემიერის რეზიდენციასთან და ხან საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ საცხოვრისით დაკმაყოფილების მოთხოვნით მართავენ. ამჯერად, მათ კარავი სახელმწიფო კანცელარიასთან გაშალეს და იქ დარჩენას მანამ აპირებენ, სანამ ხელისუფლება გადაწყვეტილებას არ შეცვლის და იმ შენობებში არ დატოვებს, სადაც უკანონოდ არიან შეჭრილები.**



**არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ეკონომიკური რეაბილიტაციის ცენტრის" წარმომადგენელი იოსებ ვარძელაშვილი აცხადებს:** „სამი დღის წინ ეკონომიკის სამინისტროსგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოციალურად დაუცველებმა დაკავებული ფართები უპირობოდ უნდა დაცალონ. ეს შენობები კი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა გადაეცესო. ამით სურთ, დევნილები და სოციალურად დაუცველები ერთმანეთს დააპირისპირონ. უპირობოდ მოვითხოვთ, გამოსახლებები შეწყდეს და ამ შენობებს დროებითი თავშესაფრების სტატუსი მიეცეს".

**აქციის მონაწილე ლია სუზაშვილი ამბობს, რომ თუ მას სახლი არ ექნება, 5 შვილს სახელმწიფო წაართმევს:** „ძალიან ბევრ ადამიანს მივმართე, თუმცა უშედეგოდ. კოჯორში ბავშვთა სახლში გავიზარდე. სახლი არასოდეს მქონია. 5 შვილი მყავს. სხვის ავარიულ ერთ ოთახში, გაუსაძლის მდგომარეობაში ვცხოვრობ. ბავშვებისთვის ფეხსაცმელსაც ვერ ვყიდულობ, ძირგავარდნილი ფეხსაცმელი აცვიათ და ფეხებდასისხლიანებულები მოდიან სკოლიდან. თანაკლასელები დასცინიან, უფასო სასადილოს კმაყოფაზე მყავს. მე-2 ჯგუფის უსინათლო ინვალიდი ვარ, გლაუკომა მაქვს. ქმარიც გულით ავადმყოფია. ახალ წელს ბინის პატრონმა სახლიდან რომ გამოგვაგდო, შვილები წამართვეს და გლდანში სოციალური ადაპტაციის ცენტრში წაიყვანეს. იქ ყოფნას სჯობს, ბავშვები ქუჩაში მყავდეს. შვილების დაბრუნებაში მაშინ გლდანის მაჟორიტარი სოსო ჯაჭვლიანი დამეხმარა. ახლაც იგივე მემუქრება".

**ნათია ბაბუნაშვილი:** „28 ოჯახი მე-13 საჯარო სკოლაში 7 თვეა ვცხოვრობთ, გასულ კვირას გამოცხადდა, რომ ყველა ობიექტი უნდა დავცალოთ. იქ კი დევნილები უნდა შესახლდნენ. შენობები ლტოლვილთა სამინისტრომ შეისყიდა. სამინისტროს წარმომადგენლებს აზომვითი სამუშაოების ჩატარება უნდოდათ, მაგრამ ამის უფლება არ მივეცით. მივმართავთ ხელისუფლებას, მოგვხედონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ვითარება ნამდვილ რევოლუციამდე მივა".

**ქეთინო სააკაძე:** „5 წელია, მევახშე მაწვალებს, რომელმაც ჩემი სახლი მიითვისა. ახლა სამზარეულოში 4 შვილსა და ერთ შვილიშვილთან ერთად ვცხოვრობ. 16 წლის უსინათლო, ეტლსმიჯაჭვული შვილი მყავს, მრავალჯერ ნაოპერაციები. კიდევ სჭირდება ოპერაციები, ვარ სოციალურად დაუცველი. არადა, ჩემს შვილს პამპერსები და წამლები სჭირდება და ამის საშუალება არ მაქვს".

**მარიამ მენაბდიშვილი „უსახლკარო დევნილთა და სოციალურად დაუცველთა კავშირი პირველის" თავმჯდომარე:** „47 ობიექტია, საიდანაც გამოსახლებას გვაიძულებენ. აქცია გაგრძელდება, კანცელარიასთან კარვების ქალაქს გავაშენებთ, რომელსაც სოციალური ქალაქი ერქმევა. მოვითხოვთ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას. თუ საკითხი ჩვენს სასარგებლოდ არ გადაწყდება, ამას შეიძლება სამოქალაქო ომი მოჰყვეს."

**აქციის მონაწილე უსახლკარო მაყვალა ნატრიაშვილი, გამოსახლების შემთხვევაში, შენობის დაწვით იმუქრება:** „ბენზინი მაქვს მომზადებული და იმ შენობას დავწვავ, საიდანაც გვასახლებენ. იმასაც დავწვავ, ვინც გამოსახლებაზე მოვა. 10 თვეა, 142-ე საჯარო სკოლის შენობაში ვართ, სახლი არასოდეს მქონია. სადღეღამისო ჯიხურში 5 ლარზე ვმუშაობდი და ქირას ვიხდიდი. ახლა აღარც ჯიხურებია და აღარც ჯანმრთელობა შემრჩა. „ცე" ჰეპატიტი მაქვს, სიმსივნე, ნევროზი. 4-ჯერ კუჭის ოპერაცია გავიკეთე, გულის ინფარქტი გადავიტანე. ახლა სულსაც მაცლიან. ქირა რომ ვერ გადავიხადე, ბინის მეპატრონემ ჩემს შვილებს ტელევიზორი წაართვა."

**თამარ ცანდაშვილი:** „გვესმის, რომ კანონი დავარღვიეთ და შევიჭერით, მაგრამ ყველა ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყანას უნდა ჰქონდეს უსახლკაროთა თავშესაფარი. მოგვცენ ბინები მხოლოდ ცხოვრების უფლებით. ბინა ბანკმა წამართვა, როცა ბინა ჩავდე, მაშინ ვმუშაობდი, ჯარების ოფიცერი ვარ. გერმანიაში სამხედრო აკადემია მაქვს დამთავრებული. 8 თვეა, საშინელ პირობებში, უწყლოდ და კანალიზაციის გარეშე ვართ. რა დონეზე უნდა გიჭირდეს ადამიანს, რომ მაგ პირობებში გაძლო?!"

**ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, გიორგი კაკაჩიას განმარტებით:** „საქართველოში ბინათმშენებლობის პროგრამები არ არსებობს. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი სოციალური დახმარებით იმ ადამიანთა კატეგორია, რომელსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. უსახლკაროების აღრიცხვა და, შესაბამისად, მათი დახმარება ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა განახორციელოს". თუმცა **დედაქალაქის მერიის სოციალური მომსახურეობისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა „ვერსიასთან" საუბარში აცხადებს, რომ** „კანონში ჩანაწერი არასწორადაა გაგებული. ქალაქის ხელისუფლებას ევალება, უსახლკარო, ე.წ. ბომჟების თავშესაფრით უზრუნველყოფა. ასე, ნახევარი საქართველო, ვისაც თავის სახელზე საკუთრება არ აქვს, ქუჩაში გამოვა და იტყვის, არაფერი გამაჩნია, სახლი მომეცითო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საბინაო უზრუნველყოფის საკითხები ასე არ წყდება. ყველაზე გაჭირვებულად ვინც მოგაჩვენებს თავს, შეიძლება, ჩვენზე კარგადაც ცხოვრობდეს. ზოგს ბინები აქვს გაყიდული 80 000 დოლარად, წავიდნენ ევროპაში, საიდანაც დეპორტით გამოუშვეს და ახლა ჩვენ გვთხოვენ ბინას."

**უსახლკაროთა საკითხი დღის ბოლომდე არ გადაწყდა, ამიტომაც აქციის მონაწილეები სახელმწიფო კანცელარიასთან დარჩნენ. მოგვიანებით, სახელმწიფო კანცელარიაში შეჭრა და იქ ფართების დაკავების გადაწყვეტილება მიიღეს. გაწევ-გამოწევის შემდეგ, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა და პოლიციამ ეს ფაქტი აღკვეთა და აქციის მონაწილეებს იქ შესვლის საშუალება არ მისცა.**



1. ყველაზე გავრცელებული მინერალი
2. ყვავილთა მეფე
3. ბარონ მიუნჰაუზენის ლიტერატ. „მამა“
4. ფსიქოანალიზის ფუძემდებელი
5. ინდოეთში მცხოვრები რუსი მხატვარი
6. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
7. კედლის მოხატვის ერთ-ერთი ტექნიკა
8. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება
9. უსარგებლო ქაღალდი
10. სამხედრო ხომალდების დიდი შენაერთი
11. ბეთჰოვენის სონატა
12. დედალოსის ურჩი ვაჟი
13. მოკლეკისერა ჟირაფი
14. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა
15. მადის შემცირება ან დაკარგვა
16. (ძვ.) იგივეა, რაც ქელეხი
17. ძველის საპირისპირო სიტყვა
18. რეგის მეფე ... მარლი
19. ბრილიანტის „წინაპარი“
20. ჩქარი ტემპი მუსიკაში
21. მოსამართლე „კავკასიურ ცარცის წრეში“
22. ერთი - იტალიურად
23. XIX-XXს-ის იტალიელი ტენორი
24. ავტომობილი ბავშვის ენაზე
25. მეფე ერეკლე II-ის თიკუნი
26. ყაჩაღთა ჯგუფი
27. პაკისტანის ყოფილი დედაქალაქი
28. ლეგენდარული რუსი მოჭიდავე
29. მუს. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი
30. თუთიყუშის სახეობა
31. მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი აუქციონი
32. ადამიანის სხეული თავის და კიდურების გარეშე
33. სირიის ქალაქი, სადაც სიკვდილით დასაჯეს გიორგი სააკაძე
34. ინდური კობრა
35. საწვავი სითხე
36. მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
37. იგივეა, რაც სინათლე
38. დრამატული ნაწარმოები
39. ჰოლანდიური გვარების წინსართი
40. რადამისტის მეუღლე და სომხეთის დედოფალი
41. ძველებური საომარი შუბი
42. შტანგის აწევა თავის ზემოთ გამართულ ხელებზე
43. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
44. სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება
45. ქალაქი თურქეთში
46. ავადმყოფობის განვითარების კულმინაციური წერტილი
47. პინოქიოს ლიტერატ. მშობელი
48. ლითონზე გრავიურის სახეობა
49. გერმანელი მწერალი
50. მგელთა ხროვის წინამძღოლი კიპლინგის მოთხრობაში
51. სათათბირო ორგანო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან
52. უკრაინის დედაქალაქი
53. სპორტული ნაწარმის ფირმა
54. სიმინდის ყვავილედი
55. მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა
56. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა
57. თევზის ძვალი
58. დუმილის კანონი მაფიაში
59. საქართველოს უმაღლესი მწვერვალი
60. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
61. მარიტას ქმარი „ნატვრის ხეში“
62. ორსული საქონელი
63. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
64. სამი წერტილი კამათელზე
65. პინგვინის ჯიში
66. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი
67. ...-ვეგასი
68. ენაჩლუნგი
69. წყლის ზედაპირზე მცურავი მსხვილი სასიგნალო ტივტივა
70. ჭაბუა ამირეჯიბის „... მბორგალი“
71. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე
72. კიმონოს შესაკრავი ქამარი
73. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში
74. რეჟისორი ... სპილბერგი
75. რქებდახრილი ხარი
76. ნესტან-დარეჯანის მიჯნური
77. ბოსტნეული მცენარე, რომლის ფესვსაც ცხარე გემო აქვს („ხრენი“)
78. ... არავიძე „მონანიებაში“
79. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
80. სარწყავად გაყვანილი პატარა არხი
81. ცეცხლის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში
82. ტუზის ქართული სახელწოდება

# ჭკვიანი ქალები შვილებს აღარ აჩენენ?



ფსიქოლოგები ბოლო საუკუნის მანძილზე ცივილიზაციის რეგრესზე ალაპარაკდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის ინტელექტის დონემ 14 პუნქტით დაიწია, რასაც მეცნიერები იმით ხსნიან, რომ ჭკვიან ქალებს გამრავლების სურვილი აღარ აქვთ. თავიანთ კვლევაში სწავლულებს სურდათ შეემოწმებინათ, იყო თუ არა ვიქტორიანული ეპოქის ხალხი თანამედროვეზე ჭკვიანი. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ისტორიის ამ პერიოდში ინოვაციების აფეთქება მოხდა და ბევრი გენიოსი დაიბადა, შემდეგ კი, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ათწლეულის განმავლობაში დედამიწის მაცხოვრებლების ინტელექტის დონე 1,23 პუნქტით მცირდება, არადა ვიქტორიანულ ეპოქაში ადამიანები მოვლენებზე უფრო სწრაფი რეაგირებით გამოირჩეოდნენ. კვლევის ავტორთა აზრით, მაღალი ინტელექტის მქონე ქალები შთამომავლობის დატოვებაზე უფრო ნაკლებად ფიქრობენ, ვიდრე დაბალი კოეფიციენტის მქონენი.

# „ვერცხლისმჭამელი მანიაკი“ განკურნეს



ჰოლანდიის მცხოვრებმა ქალბატონმა 78 ცალი დანა-ჩანგალი გადაყლაპა. 52 წლის მარგარეტ დაალმანი, რომელიც როტერდამის უძრავი ქონების ერთ-ერთ სააგენტოში მდივნად მუშაობს, საავადმყოფოში მუცლის ტკივილით მოხვდა. რენტგენზე გაშუქების შედეგად, საჭმლის გადამამუშავებელ ტრაქტში უამრავი უცხო სხეული აღმოჩნდა. ოპერაციისას დაალმანს მუცლიდან ვერცხლის 78დანა-ჩანგალი ამოუღეს. მოგვიანებით ქალმა განაცხადა, რომ ვერცხლის ჭამა მოუნდა და თავი ვეღარ შეიკავა. ისიც გაირკვა, რომ ადრე მარგარეტი არაერთხელ იყო შემჩნეული მეტალის ნივთების ყლაპვაში, მაგრამ არა ამ რაოდენობით. ქალი ფსიქიატრთან გაგზავნეს, რომელმაც მას ფსიქიკური აშლილობა დაუდგინა, რაც დანა-ჩანგლის ჭამისადმი მიდრეკილებაში გამოიხატება. დაალმანი სამკურნალოდ გაუშვეს.



# ჰოროსკოპი

## 5 ივნისი

***ვერძი*** — თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია, არ არის გამორიცხული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. კამათი და ორმხრივი წყენა ურთიერთობის გაწყვეტამდე მიგიყვანთ.

***კურო*** — შესაძლოა, ინტერესი გაგიჩნდეთ მისტიკის, ფილოსოფიისა და კლასიკური ლიტერატურისადმი. შესანიშნავი დღეა შემოქმედებისთვის. ნუ გაუშვებთ ინიციატივას ხელიდან. ახლობლების დახმარების იმედი კი ნუ გექნებათ.

***ტყუპები*** — დღეს შესაძლოა, უსიამოვნო თავგადასავალი გადაგხდეთ, სავარაუდოა ახლობელ ადამიანთან დაკავშირებული პრობლემები და მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები.

***კირჩხიბი*** — დღეს რეალიზებულმა პროექტმა, შესაძლოა, საფუძვლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ გვერდიდან დახმარებას ნუ დაელოდებით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ.

***ლომი*** — დღეს რომანტიკული ურთიერთობა მამაკაც ლომებს გაიტაცებს და სიყვარულის ქსელში გახვევს, თუმცა მალე, ეს აღფრთოვანება სასტიკი ეჭვიანობით შეიცვლება. კამათი და ორმხრივი წყენა ურთიერთობის საბოლოოდ დანგრევამდე მიგიყვანთ.

***ქალწული*** — ქალწულებისთვის საშიში დღეა, სავარაუდოა მსხვილი ფინანსური დანაკარგი. სამსახურში უსიამოვნებას რომ თავი აარიდოთ, არავის გაანდოთ თქვენი გეგმები, ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლები გულღია საუბარი გქონდეთ გარშემომყოფებთან.

***სასწორი*** — დღის პირველი ნახევარი უსიამოვნებით აღინიშნება. შესაძლოა კონფლიქტი კოლეგებთან ან უფროსობასთან, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და ყურადღება სამუშაოზე გადაიტანეთ. საღამოს, შესაძლოა, მოულოდნელი წარმატება გეწვიოთ, რაც აუცილებლად უნდა გამოიყენოთ საკუთარი მდგომარეობის განსამტკიცებლად.

***ღრიანკალი*** — დღეს ყურადღებით იყავით, ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სჯობს დაიცადოთ. ვიღაც კვლავ ცდილობს თქვენს განერვიულებას. თავი აარიდეთ ათასგვარ ჭორს და კონფლიქტის განხილვისას, უდანაშაულო ადამიანს ნუ გაკიცხავთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებს დაძაბული დღე აქვთ, რასაც მოულოდნელი სიხარული შეცვლის. სასიყვარულო ურთიერთობებში ინიციატივა, გამბედაობა გამოიჩინეთ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

***თხის რქა*** — სავარაუდოა საყვარელ ადამიანთან დაკავშირებული პრობლემები, საქმე შესაძლოა, სკანდალამდე მივიდეს, ამიტომ ვიდრე რამეს მოიმოქმედებთ, ჯერ შედეგზე დაფიქრდით.

***მერწყული*** — მერწყულებისთვის დღე ცხოვრებისეული იდეალებისა და პრინციპების დაცვას უკავშირდება. წარმატებული დღეა შემოქმედებით სფეროში დაკავებულებისთვის. ფინანსური მდგომარეობაც უმჯობესდება. დღეს დიდსულოვნება უნდა გამოავლინოთ. შედარებით მეტი დრო დაუთმეთ თქვენს პარტნიორს.

***თევზები*** — პასიური დღეა, არასასურველი პერიოდია ცვლილებებისთვის, მოგზაურობისთვის. არ არის სასურველი ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება, სჯობს, საღამო ერთგული მეგობრების წრეში გაატაროთ და ცუდი განწყობაც გამოგიკეთდებათ.



# ყავა ასუქებს

თუკი ადამიანი დღეში ხუთ ჭიქა ყავას მიირთმევს, თუნდაც კოფეინის გარეშე, წონაში მომატების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, — აცხადებენ ავსტრალიელი სწავლულები. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ დღის განმავლობაში ხუთი ფინჯანი არომატული სასმელი შინაგანი ორგანოების გარშემო, ეგრეთ წოდებული ვისცერალური ცხიმის (ყველაზე საშიში ცხიმის) მოცულობას აორმაგებს. ეს ცხიმი კი შინაგანი ორგანოების მუშაობას აფერხებს და ისეთ პროცესებს იწვევს, რაც თავის მხრივ, სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ყავის ნეგატიურ ეფექტს მეცნიერები მასში ქლოროგენის მჟავის არსებობას უკავშირებენ, თუმცა ზომიერი რაოდენობით ის ორგანიზმისთვის სასარგებლოა, რადგან შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უშლის ხელს. სწავლულების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტისას, მღრღნელებს დღეში ხუთი ჭიქის ეკვივალენტი ყავის ულუფას აძლევდნენ. დადგინდა, რომ მათ ორჯერ მეტი ვისცერალური ცხიმი უგროვდებოდათ. ამგვარად, ავსტრალიელმა მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ყავის სასარგებლო თვისებების მიუხედავად, მისი ჭარბი რაოდენობით მიღება, წონაში მატებას იწვევს.

# ცხელი ჩაი მაცივრიდან



ამიერიდან, თუკი ამერიკული კომპანია General Electric-ის მაცივარს Café French Door შეიძენთ, შეგიძლიათ ჩაიდანსა და წყლის ფილტრზე ეკონომია გაწიოთ. მაცივრის ამ მოდელს უკვე აქვს ჩამონტაჟებული მოწყობილობა, რომელიც სითხეს 85 გრადუსამდე აცხელებს, ამ საჭირო დანადგარში კი შეგიძლიათ შეაცხელოთ ჩაი, ყავა, სუპი ან ფაფა. გარდა ამისა, აპარატი ფილტრავს ნებისმიერი ხარისხის ონკანის წყალს. ასე რომ, თუ ახალ მაცივარში 3100 დოლარს გადაიხდით, სამზარეულოს სრულ სისტემას მიიღებთ — მაცივრისგან მოუშორებლად მოამზადებთ საჭმელს, ჩაისა და ყავას.

# XIX საუკუნეში დაბადებული მამაკაცი ცოცხალია



დღეისთვის მსოფლიოში ერთადერთი კაცია დარჩენილი, რომელიც XIX საუკუნეში დაიბადა — 116 წლის იაპონელი ძირეომონ კიმურაა. კალიფორნიის უნივერსიტეტის გერონტოლოგიური კვლევის ჯგუფის მონაცემებით, პლანეტაზე 21 ქალი ცხოვრობს, რომლებიც 1901 წლამდე მოევლინენ ქვეყანას, ეს დღეგრძელი ადამიანები კი აშშ-ში, იაპონიაში, ევროპასა და კანადაში ცხოვრობენ. მათგან უხუცესი კი კვლავ ამომავალი მზის ქვეყნიდანაა — 115 წლის მისაო ოკავა, თუმცა სწავლულები ვარაუდობენ, რომ მსოფლიოში შესაძლოა უფრო მეტი დღეგრძელი ადამიანი ცხოვრობდეს. 110 წელს გადაცილებული 300-მდე ადამიანიდან მხოლოდ 60-მა მოახერხა ნამდვილი დაბადების მოწმობის წარდგენა. ყველაზე ხნიერ მამაკაცს, კიმურას 5 შვილი, 14 შვილიშვილი, 25 შვილთაშვილი და მათი 13 შთამომავალი ჰყავს. მისი თქმით, დღეგრძელობის საიდუმლო კვებაშია.



# ჰოროსკოპი

## 6 ივნისი

***ვერძი*** — ახლა წვრილმანებით დაკავების დრო არ გაქვთ, სჯობს, ერთი მიმართულება აირჩიოთ და მას მიჰყვეთ. კომპრომისზე წასვლაც მოგიწევთ, გარშემომყოფებთან წონასწორობა რომ შეინარჩუნოთ.

***კურო*** — დღეს წარმოქმნილი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ მათ მოგვარებას დიდი დრო და ენერგია დასჭირდება. შეეცადეთ დისტანცია შეინარჩუნოთ გარშემომყოფებთან და ყველაფერს ნუ დაიჯერებთ, რისი მოსმენაც მოგიწევთ.

***ტყუპები*** — საჭიროა, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ და წესრიგი დაამყაროთ ყველგან, მით უმეტეს, სხვების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. შეეცადეთ, დღეს ფული ეკონომიურად ხარჯოთ.

***კირჩხიბი*** — დღე სწრაფად ჩაივლის და მოვლენებით გადატვირთული იქნება, სასიამოვნო შეხვედრები და ახალი რომანტიკული გატაცება გელით, მხოლოდ ნუ ეცდებით მოვლენების დაჩქარებას.

***ლომი*** — ლომებისთვის დღე საკმაოდ რთული იქნება. საყვარელი ადამიანი უამრავ საზრუნავს გაგიჩენთ, მაგრამ ნუ მიიტანთ გულთან ახლოს, რადგან ეს ყველაფერი დროებითია. თავი აარიდეთ ახალ ნაცნობობას — ის წარუმატებელი და უმნიშვნელო აღმოჩნდება.

***ქალწული*** — დღეს დიდ ძალისხმევას დახარჯავთ წინააღმდეგობების გადალახვაზე, მაგრამ წარმატებაც არ დააყოვნებს. თუ გაქვთ არარეალიზებული იდეები, სწორედ ახლაა შესაფერისი დრო მათი განხორციელებისთვის.

***სასწორი*** — თამამად დაგეგმეთ დღე ისე, როგორც გსურთ. შეეცადეთ, არსებული პრობლემები მოაგვაროთ და შედეგებით საკმაოდ კმაყოფილი დარჩებით.

***ღრიანკალი*** — თუკი სიმტკიცესა და მიზანსწრაფულობას გამოიჩენთ, საქმიანი მოლაპარაკება სათანადო დონეზე ჩაივლის. შესაძლოა, დღე მარტოხელა ღრიანკლებისთვის საკმაოდ იმედისმომცემი აღმოჩნდეს.

***მშვილდოსანი*** — დღეს თავში უამრავი ახალი იდეა და ნოვატორული აზრები მოგდით, თუმცა ამაღლებული განწყობა შეიძლება იმან გაგიფუჭოთ, რომ ხელმძღვანელობა არ აფასებს ღირსეულად თქვენს მუშაობას.

***თხის რქა*** — დღეს წარმატებას მიაღწევთ როგორც სამსახურში, ისე საქმიანობის სხვა სფეროებშიც. საკუთარი პოტენციალი იქ გამოიყენეთ, სადაც თქვენს იდეებს იწონებენ. მხოლოდ ნუ ჩამოარიგებთ დაპირებებს, რომლის შესრულების საშუალებაც არ გაქვთ.

***მერწყული*** — დღე მერწყულებისთვის, შესაძლოა, წინააღმდეგობებით სავსე აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, საკმაოდ აქტიური იქნებით და შედეგების მიღწევის დიდი სურვილი გამოძრავებთ, მაგრამ მეორე მხრივ, შემოთავაზებული წინადადებები, შესაძლოა, არც ისე საინტერესო აღმოჩნდეს, როგორც წარმოგედგინათ.

***თევზები*** — დღეს ერთბაშად რამდენიმე საქმის კეთება მოგიწევთ. შეეცადეთ, დრო ტყუილად არ გაფლანგოთ. დიდი ყურადღება მიაქციეთ შემოსულ ინფორმაციას. დღე რომანტიკული განწყობისკენ გიბიძგებთ, საღამოს სავარაუდოა დროის სასიამოვნოდ გატარება და ჰარმონიული ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 9 | | | 7 | |
| 8 | | 1 | | | | | | |
| | | | | | 6 | | 1 | |
| | | 3 | | | 1 | 2 | 9 | |
| 1 | 2 | | | 6 | | | 8 | 4 |
| | 8 | 7 | 2 | | | 5 | | |
| | 1 | | 6 | | | | | |
| | | | | | | | 3 | 9 |
| | 5 | | | 8 | | | 2 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | | | 7 | | | | |
| | 2 | 6 | | | | 5 | | 3 |
| | | | | | 8 | 6 | | |
| 4 | 1 | | | | 7 | | | |
| | 8 | | | 4 | | | 2 | |
| | | | 5 | | | | 1 | 9 |
| | | 4 | 8 | | | | | |
| 1 | | 9 | | | | 8 | 3 | |
| | | | | 9 | | | 6 | 1 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 6 | 3 | 8 | | |
| 5 | 7 | | | 8 | | | | 4 |
| | | | 7 | | | 3 | 1 | |
| | 2 | | | | | 9 | | 7 |
| | | | 4 | | 7 | | | |
| 7 | | 5 | | | | | 3 | |
| | 5 | 7 | | | 2 | | | |
| 6 | | | | 7 | | | 9 | 3 |
| | | 9 | 1 | 4 | | | 5 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 5 | | 9 | | | | |
| 9 | | | 1 | | | 8 | | |
| | 8 | | 3 | | | | 6 | |
| | | | | | 8 | | | 5 |
| 2 | 5 | 7 | | | | 1 | 9 | 8 |
| 8 | | | 9 | | | | | |
| | 9 | | | | 7 | | 8 | |
| | | 4 | | | 1 | | | 9 |
| | | | | 6 | | 2 | 1 | 3 |



# კრედიტი – ყველის სანაცვლოდ

როგორც ერთ-ერთი შვეიცარული გამოცემა წერს, რამდენიმე იტალიური ბანკი კრედიტს „ყველით უზრუნველყოფის“, უფრო ზუსტად, „პარმიჯანოს“ სანაცვლოდ იძლევა. ქვეყნის ჩრდილოეთით, ემილია-რომანია იტალიის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ოლქია, რომელიც ცნობილია როგორც არქიტექტურული ძეგლებითა და ხელოვნების ნიმუშებით, ასევე გასტრონომიული „შედევრებითაც“. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი და საკმაოდ პოპულარული ყველი პარმიჯანოა (პარმეზანი), რომელსაც ოლქში მდებარე ოთხი ბანკი საკრედიტო უზრუნველყოფის სანაცვლოდ იბარებს. მაგალითად, ბანკ Credito Emiliano-ს წარმომადგენლების თქმით, მათ კლიენტებისგან შესანახად 400 ათასი თავი პარმეზანი მიიღეს. ასეთი 40-კილოგრამიანი თავის ფასი 300 ევროს შეადგენს. ყველის შესანახად ბანკმა სპეციალური სასაწყობე ნაგებობა შეიძინა, სადაც ყველის გამოყვანის ორწლიან პროცესს ცნობილი სპეციალისტი მიადევნებს თვალყურს. შენობაშია ფარული ვიდეოკამერები, დამცავი კარი და უზარმაზარი საცავი. თუ კლიენტი ბანკს კრედიტს ვერ აუნაზღაურებს, მის პარმიჯანოს გასაყიდად გამოიტანენ.

# ალკოჰოლი სიბერეს ამარცხებს?

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერთა ახალი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, ვინც ალკოჰოლურ სასმელს ყოველდღიურად, მცირე დოზით იღებს, გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ სპირტიანი სასმელის ზომიერი მოხმარება დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. გამოკვლევაში მონაწილეობა 50 წელს გადაცილებულმა, 14 ათასმა ქალბატონმა მიიღო, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ერთი და იგივე ალკოჰოლურ სასმელს სვამენ ყოველდღე, მთელი ცხოვრების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობა სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ეს ქალბატონები ხანდაზმულ ასაკში შესანიშნავი ჯანმრთელობით გამოირჩევიან, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ იღებენ ალკოჰოლს.



# ვაქცინა კარიესის წინააღმდეგ



ჩინეთის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ მათ შეძლეს კარიესის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინის შექმნა, რომელიც დნმ-სა და ორი სხვადასხვა ბაქტერიის ცილაზეა დაფუძნებული და კლინიკური ცდების ჩატარებამდე კარგი შედეგები აჩვენა. ცნობილია, რომ კარიესის მიზეზი ბაქტერიებია, რომლებიც გამოყოფს კბილის ემალისთვის მავნე ნივთიერებებს. მეცნიერებმა კი გადაწყვიტეს, ორგანიზმის იმუნიტეტი კარიესის წინააღმდეგ ვაქცინაციის მეშვეობით გაააქტიურონ (ისევე, როგორც ჩვეულებრივი ინფექციების დროს) და საამისოდ, დნმ-ვაქცინა შეარჩიეს. ორგანიზმში შეყავთ არა პათოგენური მიკროორგანიზმის ცილა, არამედ მისი დნმ, ასეთი ვაქცინა კი უფრო იაფია და გამძლეც.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 1 | 8 | 4 | 3 | 6 | 2 | 5 |
| 8 | 6 | 5 | 7 | 2 | 1 | 4 | 3 | 9 |
| 4 | 3 | 2 | 6 | 5 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 5 | 4 | 2 | 7 | 6 | 9 | 1 | 8 |
| 2 | 9 | 8 | 1 | 3 | 5 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 1 | 6 | 4 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 |
| 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 |
| 6 | 4 | 7 | 5 | 1 | 2 | 8 | 9 | 3 |
| 5 | 8 | 9 | 3 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 3 | 7 | 1 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 9 | 1 | 2 | 4 | 3 | 5 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 5 | 4 | 6 | 8 | 9 | 1 | 3 | 2 |
| 1 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 9 |
| 8 | 4 | 5 | 2 | 9 | 1 | 7 | 6 | 3 |
| 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 5 | 1 |
| 5 | 9 | 1 | 3 | 2 | 8 | 6 | 4 | 7 |
| 4 | 3 | 8 | 1 | 6 | 7 | 9 | 2 | 5 |
| 2 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 8 | 3 | 6 | 1 | 4 | 9 | 7 |
| 4 | 9 | 3 | 8 | 7 | 5 | 6 | 1 | 2 |
| 1 | 7 | 6 | 4 | 2 | 9 | 5 | 3 | 8 |
| 7 | 2 | 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 5 | 4 |
| 8 | 6 | 5 | 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 9 |
| 3 | 1 | 4 | 9 | 5 | 7 | 2 | 8 | 6 |
| 9 | 4 | 2 | 5 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 6 | 8 | 1 | 7 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 |
| 5 | 3 | 7 | 6 | 9 | 2 | 8 | 4 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 9 | 6 | 8 | 4 | 7 | 2 | 3 |
| 3 | 7 | 8 | 2 | 5 | 1 | 9 | 6 | 4 |
| 2 | 6 | 4 | 3 | 9 | 7 | 5 | 1 | 8 |
| 4 | 3 | 7 | 9 | 2 | 8 | 6 | 5 | 1 |
| 1 | 5 | 2 | 4 | 3 | 6 | 8 | 7 | 9 |
| 9 | 8 | 6 | 1 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 8 | 9 | 1 | 5 | 6 | 3 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 4 | 5 | 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 6 |
| 6 | 2 | 3 | 7 | 4 | 9 | 1 | 8 | 5 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 9 | 1 | 4 | 6 | 8 | 3 | 2 |
| 8 | 2 | 1 | 3 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 4 | 6 | 3 | 2 | 5 | 8 | 1 | 9 | 7 |
| 3 | 8 | 4 | 7 | 2 | 5 | 9 | 1 | 6 |
| 7 | 1 | 6 | 9 | 3 | 4 | 2 | 8 | 5 |
| 2 | 9 | 5 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 3 |
| 9 | 5 | 2 | 6 | 1 | 3 | 7 | 4 | 8 |
| 1 | 4 | 8 | 5 | 7 | 2 | 3 | 6 | 9 |
| 6 | 3 | 7 | 4 | 8 | 9 | 5 | 2 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 5 | 9 | 1 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 6 | 4 | 9 | 7 |
| 9 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 9 | 3 | 8 | 5 | 7 | 6 | 4 |
| 8 | 6 | 4 | 7 | 2 | 1 | 3 | 5 | 9 |
| 5 | 3 | 7 | 6 | 4 | 9 | 2 | 8 | 1 |
| 6 | 5 | 8 | 2 | 9 | 4 | 1 | 7 | 3 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 6 | 8 | 9 | 2 | 5 |
| 1 | 9 | 2 | 5 | 7 | 3 | 8 | 4 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 8 | 5 | 7 | 6 | 9 | 4 | 2 |
| 9 | 7 | 2 | 8 | 4 | 3 | 1 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 5 | 6 | 1 | 9 | 3 | 8 | 2 | 7 | 4 |
| 2 | 4 | 3 | 1 | 6 | 7 | 5 | 9 | 8 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 5 | 2 | 6 | 3 | 1 |
| 4 | 3 | 6 | 7 | 2 | 5 | 8 | 1 | 9 |
| 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 4 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 8 | 5 | 3 | 9 | 1 | 4 | 2 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 5 | 7 | 1 | 4 | 9 | 2 | 8 |
| 4 | 8 | 2 | 3 | 6 | 9 | 7 | 1 | 5 |
| 1 | 9 | 7 | 2 | 5 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 5 | 4 | 1 | 6 | 3 | 7 | 8 | 9 | 2 |
| 7 | 2 | 9 | 4 | 8 | 5 | 1 | 3 | 6 |
| 3 | 6 | 8 | 1 | 9 | 2 | 5 | 7 | 4 |
| 8 | 7 | 6 | 9 | 4 | 3 | 2 | 5 | 1 |
| 9 | 1 | 4 | 5 | 2 | 6 | 3 | 8 | 7 |
| 2 | 5 | 3 | 8 | 7 | 1 | 4 | 6 | 9 |

მე-16 გვერდი: 1. პარიტეტი; 2. სმს; 3. ბრიჯი; 4. პრეტორია; 5. ტრეპანაცია; 6. ტრიკონი; 7. თართი; 8. თორმეტი; 9. ვისკი; 10. რური; 11. ჯილა; 12. ზღარბი; 13. კამბისე; 14. უცუნა; 15. კეა; 16. სუმო; 17. მთამსვლელი; 18. აფაკია; 19. „რომა“; 20. ათენი; 21. ფრთა; 22. მის; 23. ზარეცკი; 24. იუტა; 25. ნეტო; 26. მი; 27. ნიუ; 28. ათი; 29. ორისაბა; 30. იაგდტაში; 31. ამნისტია; 32. „აიაქსი“; 33. მერაბ; 34. ასალი; 35. პრო; 36. ცა; 37. რაია; 38. პუარო; 39. ჰანს; 40. კამელია; 41. იაგუნდი; 42. სიტი; 43. ფარი; 44. სპრუ; 45. სოული; 46. სკა; 47. ფსიტი; 48. ალი; 49. „ოკა“; 50. პროტოზოა; 51. რურკი; 52. დალი; 53. არვიდას; 54. ბზე; 55. ტაში; 56. ტაო; 57. ქოლერა; 58. სოლ; 59. ერა; 60. ალაჰი; 61. ლია; 62. ბრესლაუ; 63. კაშპიროვსკი; 64. აია; 65. ია; 66. სიო; 67. ლეიკ; 68. ისარი. სურათზე: პიკასო.

მე-17 გვერდი: 1. ინია; 2. აზია; 3. კაიზერი; 4. აბვერი; 5. ბერეიტორი; 6. ემპათია; 7. ქსუ; 8. სავარგული; 9. კევრი; 10. იარალი; 11. ლანდო; 12. ზნე; 13. ტრიპტიქი; 14. არბალეტი; 15. არისტოტელე; 16. ლისეო; 17. ოაზისი; 18. კაა; 19. ასაკი; 20. ლოიოლა; 21. კუპე; 22. აისი; 23. სიათა; 24. ტრირი; 25. იაბო; 26. აიკიდო; 27. იგლუ; 28. „უდინეზე“; 29. ევრიკა; 30. ირანი; 31. შტილი; 32. ვუდუ; 33. ურა; 34. იობი; 35. ფაუ; 36. ორე; 37. ნაი; 38. „ტატრა“; 39. ოიდიუმი; 40. ბულიკა; 41. ამუდარია; 42. ენი; 43. ელდა; 44. ბმო; 45. ილია; 46. კუბა; 47. სუფსა; 48. ზუა; 49. ელიტა; 50. კანოე; 51. აის; 52. ნეგუსი; 53. უბე; 54. აკინი; 55. სუმო; 56. გოზინაყი; 57. არაბიკა; 58. აუდიტი; 59. კოპოლა; 60. ფიზიკა; 61. ადა; 62. აბო; 63. პიტ; 64. „სარკე“; 65. ნივა; 66. კანუ; 67. ალან; 68. „ნოკია“; 69. როტა; 70. ფრაუ; 71. დიანა; 72. ლას; 73. ფარჩა; 74. ლიე; 75. რაე; 76. კარიბჭე; 77. წყალი; 78. ფასი; 79. ბალი; 80. კარაკალი; 81. ბერკლი; 82. ჭიორა; 83. ბეარი; 84. უტა; 85. ჯოან; 86. ეჩო; 87. დელტა; 88. დომიე; 89. ამწე.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).





## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**



**Appraisal.llc**

**შპს „აპრაისალი" გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com**


## სამკურნალო ბალიში შექმნეს

ამერიკულმა კომპანიამ Precision Fabrics Group სპეციალური ბალიში შექმნა სახეზე გამონაყარის წინააღმდეგ. თერაპიული ეფექტი იმის წყალობით მიიღწევა, რომ ის მიკრობების საწინააღმდეგო პრეპარატს შეიცავს და ისეთი მასალისგანაა დამზადებული, რომელიც სახის კანს არ აღიზიანებს. ბალიში დამზადებულია ნეილონისა და პოლიესტერის თანაბარი რაოდენობის მასალისგან. მისი პრიალა ზედაპირი აბრეშუმს მოგაგონებთ და არ აღიზიანებს სახის კანს, ხელს უწყობს გამონაყარის მორჩენას და აფერხებს მისი გამომწვევი ბაქტერიის, Propionibacterium acnes-ის მექანიკურ გავრცელებას. გარდა ამისა, ბალიში ანტიმიკრობულ ნივთიერებასაც შეიცავს, თერაპიული ეფექტი კი 12 კვირაში მიიღწევა.


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.